

825
1988

I S S N : 0763 - 7247

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გუგაბი

ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში


პარიზი N° 16 PARIS

ივლისი 1988 JUILLET



ქართველი
წიგლისმოყვარეები

„თავისუფლებავ: შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“ – ილია



მერაბ კოსტავა



დამოუკიდებლობის 70 წლის თავზე

„პირველთაგან იყო სიტყვა,
და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა,
და ღმერთი იყო სიტყვა იგი.“ – (სახარება იოანესი)

წინმდებარე ნომერი ძირითადად ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობის სამოცდაათ წლისთავს ეძღვნება. ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულს ჩვენ ყოველწლიურად აღვნიშნავთ და აქ მკითხველს მისი ისტორიით თავს აღარ შევამწყენთ. ეს მითუმეტეს, რომ აქვე ვაქვეყნებთ მწერალ რევაზ ჯაფარიძის ამ თემისადმი მიძღვნილ სრულყოფილ სტატიას. ვიტყვით მხოლოდ: ეროვნულ თვით-გამორკვევის პრინციპს დღევანდელ მსოფლიოში ყველა სახელმწიფო, პარტია და პასუხისმგებელი მოღვაწე უდავოდ აღიარებს, იგი საფუძვლად უდევს მსოფლიოს გაერთიანებულ ერთა „ადამიანის და ერის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას“. მაგრამ პრაქტიკაში ამ უდავო პრინციპს ხშირად გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნიან ყველა ჯურის იმპერიალისტური ძალები, ისე, რომ პრინციპი უქმ სიტყვად რჩება ხოლმე და ბრყვეთა სალაფავად. ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს სწორედ საქმე საბჭოთა კავშირში, სადაც ერებს კონსტიტუციურად მინიჭებული აქვთ კავშირიდან თავისუფალი გამოსვლის უფლება, მაგრამ პრაქტიკულად აღკვეთილია აქვთ მიმავალი გზა და საშუალება.

ქართველი ხალხის თვითგამორკვევას ადგილი ჰქონდა 1918 წლის 26 მაისს, როცა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ, ქართველი ერის სახელით, საჯაროდ გამოაცხადა: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოაო“. ეს დამოუკიდებლობის აქტი უცვლელად ერთხმად დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა, არჩეულმა პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით, ორივე სქემის მოქალაქეთა მიერ, 1919 წლის 12 მარტის სხდომაზე. ამ აქტით საბოლოოდ უდავო გახდა ქართველი ხალხის ნება-სურვილის გამოქვეყნება. ამას მოჰყვა მსოფლიო სახელმწიფოთაგან ფაქტიური და იურიდიული ცნობა და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. ასევე უპირობოდ იცნო საქართვე-



21228

ლოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით და უარი თქვა სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის სუვერენულ უფლებებზე ყოველგვარი ხელყოფისაგან.

საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის სამი წლის არსებობამ შეუქცევადად განამტკიცა ქართველი ხალხის საერთაშორისო უფლება: იყოს დამოუკიდებელი და თანასწორი დამოუკიდებელ და თანასწორ სახელმწიფოთა შორის. ქართველ ხალხს ამის შემდეგ არასოდეს ნებაყოფლობით უარი აღარ უთქვამს 1918 წლის 26 მაისის აქტით მოპოვებულ დამოუკიდებლობაზე და თუ იგი პრაქტიკულად შეწყდა 1921 წლის თებერვალ-მარტიდან, ეს გამოწვეულია გარეშე სახელმწიფოს, საბჭოთა რუსეთის ძალადობისაგან, სამხედრო ოკუპაციისაგან. მაგრამ ძალა, რაგინდ ხანგრძლივი არ იყოს მისი მოქმედება, საერთაშორისო უფლებად ვერ იქცევა. როგორც კი ეს გარეშე ძალა ამა თუ იმ მიზეზით შეწყდება, მაშინვე, ავტომატიურად, ყოველგვარი თვითგამორკვევისა და რეფერენდუმის გარეშე, უნდა აღსდგეს 1918 წლის 26 მაისის აქტით შობილი საქართველოს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, 26 მაისობას ქართველი ხალხისთვის არა მარტო ისტორიული, არამედ აგრეთვე დიდი სამომავლო პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს და მის ტრფიალს ყველა შეგნებული ქართველი გულში უნდა ატარებდეს და ახალგაზრდებს გადასცემდეს.

უკანასკნელი ექვსი ათეული წლის განმავლობაში მხოლოდ ჩვენი უცხოეთში გადმოხვეწილი ემიგრაცია ზეიმობდა აშკარად ამ დღეს ყოველწლიურად, საოკუპაციო ხელისუფლებისაგან სამშობლოში კი მას ტაბუ ჰქონდა დადებული, მისი უბრალო ხსენებაც კი სახელმწიფო დალატის ტოლფასად ისჯებოდა. წელს ამ საკითხში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა: არამც თუ აკრძალული აღარ არის მასზე საჯაროდ ლაპარაკი, არამედ თვით რეჟიმის ოფიციალური ისტორიკოსები მას აფასებენ დიდმნიშვნელოვან სასიკეთო ეროვნულ მოვლენად. უკვე აპრილის შუა რიცხვებიდან მოყოლებული ჩვენი ქვეყნის ცენტრალურმა და რაიონულმა პრესამ საკმაოდ ვრცელი ადგილი დაუთმო 1918 წლის 26 მაისის ისტორიულ აქტთან დაკავშირებულ ფაქტებსა და მოვლენებს. თვით 26 მაისის დღეს კი პრესისა და რადიო-ტელევიზიის პუბლიკაციებს დაემატა „მრგვალი მაგიდა“ თე-

საქართველოს
ქრონიკალი
ბ ი ბ ლ ი ო მ თ ა კ ა

მაზე: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხები“, რომელშიც მონაწილეობდენ აკად. გიორგი მელიქიშვილი, ნიკოლოზ ჭავჭავაძე, აკაკი სურგულაძე და სხვა მეცნიერები. „მრგვალი მაგიდა“ გამართულა თბილისის ახალგაზრდობის ცენტრის, „ბარიკონის“ დიდ დარბაზში, მას დიდძალი დაინტერესებული საზოგადოება ესწრებოდა თურმე და „საქინფორმის“ ენით რომ ვთქვათ: **I.** „მოქალაქეთა გარკვეულმა ჯგუფმა არეფ-დარევა შეიტანა ამ ღონისძიებაში, მოითხოვა ამ თარიღის განცალკევებით აღნიშვნა“ და **II.** „აქ მოწყობილ შეკრებაზე მოქალაქეთა ჯგუფის სწორედ იმ წევრებმა, რომლებიც ამ ბოლო დროს დასავლეთის რადიოხმების ენით გვიკარნახებენ თავიანთ რეცეპტებს საქართველოს მომავლის შესახებ, თავშეუქცევებელი გამოსვლებით და არასერიოზული, შეურაცხმყოფელი, პროვოკაციული შეძახილებით დაარღვიეს მეცნიერული პოლემიკისა და ეთიკის ნორმები“. (იხ. გაზ. „კომუნისტი“ **28.05.88**, „დემოკრატია არა ამბიციებისათვის“ სათაურით.)

შეიძლება, რომ ამ ინციდენტს უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ჩვენი ხალხის სულიერი განწყობილების გასაგებად, ვიდრე მთელ ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციებს. საქმე იმაშია, რომ ეს ოფიციალური ისტორიკოსები ზემოდან მიღებული ბრძანებების მიხედვით აღაპარაკებენ ისტორიულ ფაქტებს: ახლა ტყუილებზე აგებულ ისტორიის ძველ კონცეპციებს გმობენ, მაგრამ ახლა ახალ ტყუილებზე აგებულ კონცეფციებს გვთავაზობენ. მაგალითად, წინად დაწუნებულ ეროვნულ დამოუკიდებლობას, ახლა იწონებენ, მაგრამ მის დამსახურებას ქართველ ხალხს ართმევენ და რუსეთის ბოლშევიკურ რევოლუციას აკუთნებენ, კიდევ მეტი, წილებზე ფეხს იდგამენ და მიკიბულ -მოკიბული დილაქტიკით, მის დამხობას და ქვეყნის სამხედრო ოკუპაციას ამართლებენ. სავარაუდებელია, რომ ჯგუფი, რომელიც „საქინფორმს“ არ მოსწონს, სწორედ ასეთი დილაქტიკის წინააღმდეგ აცხადებდა პროტესტებს. თუ ეს ასეა, მაშინ ვაშა მათ! მომავალი მათ ეკუთვნით, რადგანაც მათი ხმა ერის ხმაა.

სამშობლოში მიმდინარე ეს ახალი ამბები, რა თქმა უნდა, გვახალისებენ და გვაიმედიანებენ, მაგრამ ამან არ უნდა აგვაცეტოს და ნაჩქარევი დასკვნები არ უნდა გავაკეთებინოს. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იქ ყველაფერი რიგზეა და რომ ემიგრაციას

სანამ თავის ბედსა და მომავალს ერთმორწმუნე რუსეთს, დაუკავშირებდა და 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთის მფლობელობაში შევიდოდა, საქართველო ორი ათას ხუთასი წლის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით იცავდა თავის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ტერიტორიის მთლიანობას, ენას, სარწმუნოებას, სულიერ და მატერიალურ კულტურას. გამუდმებულმა ბარბაროსულმა შემოტევებმა, აღმოსავლეთის და დასავლეთის მტაცებელი სახელმწიფოები რომ მიმართავდნენ, ვერ გატეხა ქართველი ერის სული, ვერ შეაჩერა მისი კეთილშობილური ლტოლვა თავისუფლებისაკენ. სამშობლოს წმინდა დროშა, ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ქართველი კაცისათვის ყოველთვის უპირველესი სალოცავი ხატი იყო და ასეთად რჩება იგი დღესაც, მეოცე საუკუნის მიწურულს.

ამ საკითხზე გულახდილი, მეცნიერული კეთილსინდისიერებით ლაპარაკი, ისიც საჯაროდ, ბეჭდვითი სიტყვის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით, ვერ კიდევ გუშინ უპატიებელ მკრეხელობად ითვლებოდა. საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რომელიც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა, მავანნი და მავანნი მხოლოდ ბრძკვალეებში, ირონიით თუ მოიხსენიებდნენ და არც სხვებს და არც საკუთარ პერსონას ამ უადრესად სერიოზული საგნის ირგვლივ კრინტის დაძვრის საშუალებას არ აძლევდნენ.

დღეს ვისთვისღაა საიდუმლო, ვინ მალავს, როგორც უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, რომ რომანოვების რუსეთის იმპერია ხალხთა საპყრობილე და ევროპის ჟანდარმი იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ არავითარი აზრი არ ექნებოდა რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც, სენატის მოედანზე დეკაბრისტების გამოსვლიდან მოკიდებული, თითქმის მთელ საუკუნეს არყევდა გააფთრებული კლასთა ბრძოლებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სენით შეპყრობილ მის მძლავრ სხეულს.

რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის მანიფესტმა, რომელიც 1802 წელს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში წაიკითხეს და ქართველ საზოგადოებას ხელმწიფის უზენაესი ნება აუწყეს, ზღვარი დაუდო საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ათასწლეულ უთანასწორო ომებში გამოვლილი გმირული ქვეყანა იმპერიის განაპირა კუთხედ, ფორპოსტად, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დახურდა. გაუქმდა ათასწლოვანი ბაგრატიონთა სა-



მეფო ტახტი, მეფის ოჯახის უკლებრივ ყველა წევრი პეტერბურგს გაიწვიეს, მოიშალა ქვეყნის მმართველობის ეროვნული ინსტიტუტები, მის მაგიერ ერთმორწმუნე ძლიერი მეზობლის ფრთებს შეფარებულ საქართველოს რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოხელეები მოევლინენ, ჯერ კიდევ შორეულ მეხუთე-მეექვსე საუკუნეებში მოპოვებული აუტოკეფალია ჩამოერთვა ქართულ ეკლესიას, სრულიად საქართველოს უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსპატრიარქის ტახტი რუსმა ეგზარხოსმა დაიკავა, აიკრძალა სწავლა-განათლება, მღვდელმსახურება და სასამართლო საქმის წარმოება ქართველების მშობლიურ ქართულ ენაზე, ქართული ენა ძალღის ენად გამოცხადდა.

ამიტომ თვლიდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომ ქართველი მეფეების მიერ სახელმწიფო მმართველობის საჭის რუსეთის სამეფო კარისათვის გადაბარება, სანახევროდ და უფრო მეტად უარის თქმა ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, ისტორიის წინაშე ჩადენილი უმცირესი ბოროტება იყო. დაახ, უმცირესი ბოროტება, არც მეტი, არც ნაკლები! მე-18 საუკუნის საქართველო, მისი როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი ნაწილი, გამოუვალ ჩიხში მოექცა. კატასტროფიულად დაეცა ქვეყნის ძირეული მოსახლეობის რიცხვი. ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობის რაოდენობა 800 ათასს სულს არ აღემატებოდა. ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი არც დასავლეთ საქართველო იყო. სამეფო-სამთავროებად დაქსაქსული ქვეყნის გაერთიანებას და დამპყრობლების, აგრეთვე, შინაგან გამთიშველთა წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლას წინ გარდაუვლად ელობებოდა 1555 წლის ამასიის ზავით დაკანონებული უსამართლობა: აღმოსავლეთი საქართველო – ქართლ-კახეთის სამეფო – სპარსეთის ხელდებულ ქვეყნად ითვლებოდა, დასავლეთი საქართველო კი მტაცებელი ოსმალეთის გავლენის სფერო იყო. ასეთ პირობებში ქვეყნის გაერთიანებისათვის ზრუნვა და მთელი ეროვნული ძალების განუყოფლად შემოკრება წინასწარვე განწირული იყო ჩასაფლუმად. ერთი მხრით ოსმალეთი და მეორე მხრივ სპარსეთი ქართველი მეფეების ყოველ ცდასა და მოწადინებას ამ მიმართულებით თავიანთ შინაურ საქმეებში ჩარევად თვლიდნენ და ახალ-ახალ დამსჯელი ექსპედიციების გამოგზავნას, რასაც ათასობით ადამიანის მსხვერპლი და უღმობელი სისხლისღვრა მოსდევდა, არ აყოვნებდნენ.

არ ახალია, ძველია, მრავალჯერ თქმული და განმეორებული, რომ ეს იყო ტრაგიკული ალტერნატივა, რომლის წინაშე ჩვენი მეფეები, ჯერ კახბატონი ალექსანდრე მეორე, შემდეგ იმერეთის მეფე სო-



ლომონ პირველი აღმოჩნდნენ. აბა, რომელი მეფე, რომელი სტუზურენი, რომელი მოღვაწე იქნებოდა, თავის სახელმწიფოში მსმანათისაგან გადმოცემული სამეფო ტახტის გაუქმებას შერიგებოდა! რა უნდა ყოფილიყო მათ თვალში და, საერთოდ, ობიექტურად, ამაზე უფრო დიდი ბოროტება, — სუვერენული სახელმწიფოს მიერ თავის სახელმწიფო დამოუკიდებლობაზე უარის თქმა! მაგრამ თუ კი სხვა გზა არ იყო? თუ კი სისხლისაგან დაცლილ, მტერმორეულ ქვეყანას სხვა გასაძრავი ღონე არ ჰქონდა? თუ კი ის ყოფნა-არყოფნის საბედისწერო ზღვარზე იდგა?

ყველა საბუთი, რაც კი ისტორიამ შემოგვინახა, გვარწმუნებს, უკურნებელი სენით ლოვინად ჩავარდნილ გიორგი მეთორმეტეს, პატარა კახ ერეკლეს ძეს, ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს, შექმნილ ისტორიულ ვითარებაში არავითარი არჩევანი არ გააჩნდა და ქვეყნის ფიზიკურად გადარჩენის მოიმედემ ხვეწნა-მუდარის საბედისწერო აქტზე თავისი ხელრთვა დასვა.

დიახ, ეს ვახლდით ბოროტება, მხოლოდ უმცირესი, ისტორიული კანონზომიერებით ნაკარნახევი, იძულებით ჩადენილი, და როდესაც საქართველოს ისტორიის მამა, დიდი ივანე ჯავახიშვილი, თავისი თხზულებების მეხუთე ტომში მოვლენას ასეთ შეფასებას აძლევს, ხომ უნდა ვიქონიოთ გონიერება და მივხვდეთ, რომ ის ამით არავის შეურაცხყოფს და არც ვისმე აძლევს რაიმე საბაბს პოლიტიკური არაშორსმჭვრეტელობა უკიყინონ.

ფაქტია, რომ მონარქიული რუსეთის წიაღში საქართველო გადარჩა, მოსულიერდა, ევროპულ კულტურას ეზიარა, ახალი ძალებით აღივსო და არამცთუ არსებობა შეინარჩუნა, მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა თვით რუსეთის ისტორიაში.

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველობას ქრონიკული გულმავიწყობა დასჩემდა, თითქოს ის ერთხელ და სამუდამოდ შეურიგდა აზრს, რომ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვება და შენარჩუნება მისი საქმე არ არის, თითქოს ის განგებამ სხვისი ხელის შემყურე ქვეშევრდომის უნუგეშო ბედისათვის გაიმეტა! თუ თვალს დავხუჭავთ ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ ქართველი ერის პერმანენტული მიდრეკილების წინაშე, მაშინ აზროკლებულად და რეაქციულად უნდა გამოვაცხადოთ თუნდაც გასული საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც საქართველოს უგვირგვინო მეფედ წოდებული დიდი ილია ჭავჭავაძე ედგა სათავე-



ში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი ერთი იყო, ანუ თუ იმ ერის მიერ ეროვნული თვითგამორკვევის მოპოვება. ასე მოვედით 1917 წლამდე, როდესაც თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ბოლო მოუღო დამონებული ხალხების, თვით რუსი ხალხის საძულველ ცარიზმს, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში რუსეთში, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, საბჭოების ხელისუფლება გამოცხადდა.

რევოლუციური რუსეთისაგან ამიერკავკასია იმთავითვე მოწყვეტილი აღმოჩნდა. ზღვარი მას შემდეგ უფრო გაღრმავდა, როდესაც დონი და ყუბანი ინტერვენტებმა დაიკავეს. გაჩნდა თავდასხმის საშიშროება სამხრეთიდან, თურქეთის მხრიდან, რომელიც ამიერკავკასიის ქვეყნებს, კერძოდ, საქართველოს და სომხეთს, ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებდა. თვით ისტორია, რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ვითარება აყენებდა შინაპარტიული ბრძოლებით დანაწევრებული, მომქანცველი მსოფლიო ომიდან გამოსული, სამი მშვიერი და შიშველ-ტიტველი მოსაზღვრე ქვეყნის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის, ადმინისტრაციული გაერთიანების საჭიროებას, ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატის, ხოლო შემდეგ, როდესაც კომისარიატმა ყველა თავისი შესაძლებლობა ამოწურა და ფიქციურ პოლიტიკურ ორგანოდ იქცა, იმავე ამიერკავკასიის სეიმში.

კომისარიატის და შემდეგ სეიმის სათავეში მოქცეული ქართველი მენშევიკი ლიდერები საბჭოთა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის, მეტიც, რუსეთთან ტრადიციული კავშირის იდეით გამოდიოდნენ, კერძოდ, ამ აზრს ადგა პარტიის თავგადაცემა ნოე ყორღანია, მაგრამ მრავალი პარტიის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისარიატის და სეიმის, ისევე როგორც თვით ქართველი მენშევიკები, ამ საკითხში ერსულოვანი არ იყვნენ.

შინაგანი წინააღმდეგობა მაშინ უფრო გამწვავდა, როდესაც ამიერკავკასიის კომისარიატის დიპლომატიური წარმომადგენლობა ა. ჩხენკელის მეთაურობით ტრაპიზონს გაემგზავრა რუსეთთან ჯერ კიდევ ომის მდგომარეობაში მყოფი თურქეთის დიპლომატიურ და სამხედრო წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად, რისი მიზანიც სეპარატიული ზავის დადება გახლდათ. ეს ის დრო იყო, როდესაც ბრესტში გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის საკმაოდ გაჭიანურებული საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობდა. როგორც ცნობილია, პირადად ლენინის მითითებით, რათა, რადაც უნდა დაჯდომოდა, სი-



სხლისმღვრელი ომის შეწყვეტისა და ზავის დადებისათვის მიედრება რუსეთის დელეგაცია, რომელსაც ჯერ ტროცკი, ხოლო შემდეგ ნიჟნიჩინინი მეთაურობდა, გერმანიისა და მისი მოკავშირეების სასარგებლოდ მნიშვნელოვან ტერიტორიულ დათმობებზე წავიდა. ზავის პირობების თანახმად, თურქეთის გამგებლობაში გადადიოდა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, აგრეთვე ისტორიული სომხეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი.

ამიერკავკასიის კომისარიატმა შორს დაიჭირა, არ სცნო ბრესტის ზავი, რომლის მიღებაში მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ ამან საქმეს, რასაკვირველია, ვერ უშველა, ვინაიდან ამიერკავკასიას, როგორც ფედერაციულ სახელმწიფოს, დამოუკიდებლობის სტატუსი არ ჰქონდა და საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად კვლავ რუსეთის განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა, თურქებმა ბრესტში დადებული პირობების შესრულება, ზემოდ დასახელებული ტერიტორიების დაკლა მოითხოვეს, რაზეც, ბუნებრივია, უარი მიიღეს. რუსეთის არმიის კავკასიის ფრონტი ამ დროს მოშლილი იყო. ჯარისკაცები და უნტეროფიცრობა, ათასობით ადამიანი, თვითნებურად ტოვებდა საბრძოლო პოზიციას და სამშობლოში ბრუნდებოდა, მაგრამ სანამ შინ, სამშობლოში, დედარუსეთში მივიდოდა, გზად ჯერ ამიერკავკასია უნდა გაეცლო. ასე რომ, წინ წამოწევა და ბრესტის ზავის პირობების მისთვის მიკუთვნებული ტერიტორიების დაკავება თურქეთისათვის არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.

ა. ჩხენკელის მეთაურობით გაგზავნილი დელეგაცია რომ ტრაპიზონს ჩავიდა, ქალაქში უკვე თურქული გარნიზონი იდგა. მოლაპარაკება კავკასიელებისათვის დისკრიმინაციულ პირობებში წარიმართა. მტრულ ქალაქში მათ თავიანთი მცველი რაზმიც კი აღარ ახლდა. შექმნილი მდგომარეობით გათამამებული თურქები იმ ტერიტორიების მიღებასაც აღარ სჯერდებოდნენ, რომლებიც ბრესტის ზავის პირობებში იყო გათვალისწინებული, მადა ქამაში მოსვლოდათ.

ამ ღვთის რისხვას ზედ ისიც დაერთო, რომ დელეგაციის წევრმა მუსავატელებმა მოულოდნელად პროთურქული ორიენტაცია გამოამჟღავნეს, ერთმორწმუნე მუსულმანები ბაქოში მიიწვიეს და თანამემამულეებს, ამგვარად, ზურგში ხანჯალი ჩასცეს. ხელმოცარული დელეგაცია შინ დაბრუნდა, თურქეთის არმიები კი ამასობაში მოშიშვლებულ ფრონტზე, რადგანაც წინააღმდეგობას აღარავინ უწევდა, წინ მოდიოდნენ და სომხეთისა და საქართველოს მიწებს ზედიზედ

იკავებდნენ. სეიმი დილემის წინაშე აღმოჩნდა: ან უნდაედაეფმოლი ტერიტორიები და ექსპანსიური თურქეთის უღელი დაედაეფმოლი იციალურად უნდა გამოყოფოდა რუსეთს და თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოეცხადებინა. ეს მას იურიდიულად დაიხსნიდა ვალდებულებისაგან, უსიტყვოდ შეესრულებინა ბრესტის ზავის შესაბამისი პირობები, მაგრამ შინაური წინააღმდეგობები, რომლებიც ხელოვნურად შეკოწიწებულ ფედერაციას საფუძვლებს აცლიდა, თავის დამანგრეველ ძალას მაინც ინარჩუნებდა.

1918 წლის 9 აპრილს ამიერკავკასიის სეიმი და მოუკიდებლობა გამოაცხადა. შეიქმნა მრავალი პარტიის წარმომადგენლებისგან შემდგარი ახალი კაბინეტი, რომელსაც ევგენი გეგეჭკორის ნაცვლად სათავეში ამჯერად ა. ჩხენკელი ჩაუდგა. ამ ფაქტს ამიერკავკასიისა და თურქეთის ურთიერთობაში არავითარი ცვლილება არ მოჰყოლია. ერთიანობის ძირგამომთხრელნი კვლავ პროთურქულ პლატფორმაზე მდგარი მუსავატელები იყვნენ. ისინი კვლავ ბაქოში ეპატიუებოდნენ ერთმორწმუნე თურქებს და მთელი ამიერკავკასიის ხონჩით მირთმევას ჰპირდებოდნენ. სეიმს კრიზისის დღეები დაუდგა. მან ორ თვესაც კი ვერ იარსება. ქართველი ლიდერები ხედავდნენ, რომ ხსნა მხოლოდ საქართველოს სეიმიდან გამოსვლას და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას შეეძლო მოეტანა. თუ ეს მოხერხდებოდა, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა უფლებამოსილი იქნებოდა, ბრესტის ზავი არ ეცნო, თურქული ექსპანსიისათვის თავისი ეროვნული სამხედრო ძალებით წინააღმდეგობა გაეწია და დაპყრობილი ტერიტორიები გაეთავისუფლებინა. მაგრამ დაძაბული ვითარების განმუხტვა და ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობის შექმნა მაარტოოდენ ამ გადაწყვეტილების შესრულებასაც არ შეეძლო. კბილებამდე შეიარაღებული თურქული არმიების წინააღმდეგ ომში სამხედრო რესურსებით ერთობ სუსტი საქართველო ვერაფერს ვახდებოდა, თუმცა ხალხი ფეხზე იდგა და დაძახილს ელოდა, რომ სამშობლოს დამცველთა რიგებში ადგილი დაეჭირა. საჭირო იყო ძლიერი მფარველი, ვინც თავისი გავლენით და სამხედრო ძალით განსაცდელში ჩავარდნილ საქართველოს გვერდში ამოუდგებოდა. ასეთად მიჩნეული იქნა გერმანია. ჩხენკელმა და რამიშვილმა პირი მოუსინჯეს ყოფილ ელჩს, იშუამად კი გერმანიის ჯარების სარდალს გრაფ შელენბერგს და გერმანიისავე საქმეთა რწმუნებულს ლოსევს, რომელიც შელენბერგთან ერთად ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა, და სასურველი დაპი-



რებაც მიიღეს.

26 მაისს 1918 წლისა, 70 წლის წინათ, თბილისის მთავრობის სახელში, ამიერკავკასიის სეიმმა თავი გაუქმებულად ცნო, იმავე დღეს, იმავე სასახლის სააქტო დარბაზში შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელსაც გრაფი შელენბერგი, თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე და ქართველი ოფიცრები და გენერლებიც ესწრებოდნენ. შედგა მთავრობა. საქართველო, პირველად 1801 წლიდან მოკიდებული, როდესაც იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძემ იგი, როგორც სამეფო გააუქმა და რუსეთს შეუერთა უშუალოდ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. პოლიტიკური მმართველობის ფორმად აღიარებულ იქნა „დემოკრატიული რესპუბლიკა“.

არავის შეუძლია იმის უარყოფა, რომ ეს იყო ერთი უბედნიერესი წუთი ცარიზმის უღელქვეშ მგმინავი ქართველი ერისათვის, ეს იყო ის წუთი, რომლის დადგომასაც ქვეყნის უკეთესი შვილების ამდენი სიცოცხლე შეეწირა, რისთვისაც თავგამოდებულად იღწვოდნენ და გოლგოთაზე აღიოდნენ ისინი.

სასახლის მოედანზე უამრავი ხალხი შეიკრიბა. სულგანაბული ისმენდნენ მანიფესტს, რომლის ძალითაც გუშინდელი უფლებააყრილი და დაჩაგრული კოლონია რომანოვების რუსეთისა, ოდესღაც აღმოსავლეთის ერთი უძლიერესი სახელმწიფო, კვლავ დამოუკიდებელ ქვეყნად, დემოკრატიულ რესპუბლიკად ცხადდებოდა. სასახლის თავზე, რომლის აივანზეც ახალშედგენილი მთავრობის წევრები იყვნენ გადმომდგარი, საქართველოს სახელმწიფო ალამი ასწიეს. ხალხმა დაიჩოქა. შემოკრეს სიონის, ქაშუეთის, სამების, ანჩისხატის, მამადავითის, კუკიის ზარებს. დამსწრეთა მოწმობით, ხალხი გვიან ღამემდე არ დაშლილა, არც ზარების საზეიმო გუგუნნი და ფეიერვერკი შემწყდარა. თავისუფლების მაუწყებელი მანიფესტი რამდენიმეჯერ წააკითხეს და ისე ხარბად და ალტაცებული უგდებდნენ ყურს, თითქოს პირველად გაეგონათ.

ეს ისტორიული ფაქტია. არ შეიძლება ამ ფაქტის უარყოფა, როგორც საზოგადოდ ყველა სხვა ფაქტისა. მისი ახსნაც არ არის ძნელი. დედამიწის ზურგზე მცხოვრებ რომელ ხალხს არ სწყურია ეროვნული თავისუფლება, ვის არ სურს და ვინ არ ელტვის „თავი თვისი თვით ეყუდნოდეს“, მით უმეტეს, ისეთ ერებს, რომლებიც მეფის რუსეთის კოლონიურ-ბიუროკრატიული რეჟიმის მარწუხებში გმინავდნენ და ადამიანურ უფლებებს მოკლებულნი სხვისი ნასუფრალით იკვებებოდნენ. აი, ერთმა ასეთმა ხალხმა, ქართველობამ, ოდესღაც

უკანონოდ წართმეული სახელმწიფო დამოუკიდებლობა აღიდგინა და თავისუფლების წმიდა დროშა აღმართა. აღსანიშნავია, რომ ბიულენე ვიკურმა რუსეთმა, რომლის სათავეშიც ლენინი იდგა, პირველმა ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, და მასთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ელჩების დონეზე.

ჩემს მიზანს არ შეადგენს ძირფესვიანად მიმოვიხილო სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა იმ დროის საქართველოსი, რომელიც არცთუ მართებული ტრადიციის თანახმად „მენშევიკების ბატონობის“ პერიოდად იხსენიება. მენშევიკები, მართალია, უმრავლესობას შეადგენდნენ ქვეყნის მმართველობის ორგანოებში, მაგრამ გამადიდებელი შუშის გარეშეც ჩანს, რომ მთავრობაში მარტო არ იყვნენ, მათთან ერთად ქვეყანას მართავდნენ სხვა პარტიების წარმომადგენლებიც, და არა მარტო წვრილბურჟუაზიულ პარტიებისა. თუ გვსურს გზა ისტორიულ ჭეშმარიტებით გავინათოთ და არ ავყვეთ გამეფებულ დემაგოგიას, დღეს მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ უძნელეს პირობებში საქართველომ შეძლო თავისი მიწა-წყალი შეენარჩუნებია, გაედევნა თურქეთის არმიები იმ ტერიტორიებიდან, რომლებზეც ბრესტის ზავით ხელშეკრულ მე-11 არმიას ხელი არ მიუწვდებოდა. თუ არა თავანწირვა ერისა და იმ მოღვაწეებისა, რომლებიც ურთულეს ისტორიულ პირობებში წარმართავდნენ მას, დღეს საქართველოს რესპუბლიკის გარეთ, თურქეთის ფარგლებში იქნებოდა, სულ ცოტა, ბათუმში აჭარითურთ და ძველი მესხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი — ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. ხომ ფაქტია, რომ მიუხედავად დიდი ეკონომიკური სიძნელეებისა და მმართველ პარტიების წაჯექექუჯექეობისა, აშკარა პოლიტიკური სიბეცისა და ხშირად სრულიად ულოგიკო გადაწყვეტილებებისა, რამაც ერი ახალი პრობლემების წინაშე დააყენა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებამ ხალხის შემოქმედებითი ძალების არნახული აღტყინება და აღმავლობა გამოიწვია. იხსნება ქართული ეროვნული უნივერსიტეტი, სახელმწიფო მუზეუმი, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, ზედიზედ იწერება პირველი ქართული ოპერები, ფეხს იდგამს აქამდე ჩრდილში მდგომი ეროვნული მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება, აუტოკეფალია უბრუნდება უდიერად ჩაწიხლულ ეროვნულ მართლმადიდებლურ ეკლესიას.

1918 წლის 26 მაისს ქართველი ერის სახელმწიფოებრიობის ახალი

ერა დაიწყო და ისტორიის ეს ბრწყინვალე, მარად სამახსოვრო ფურცელი არ შეიძლება, ნებისთ ან უნებლიეთ, დავიწყებას მივცეთ. დღეს სხვა დროა, სხვა ისტორიული ვითარებაა და ჩვენ ყველა, ვინც დღეს ვცხოვრობთ და ვმოღვაწეობთ, ბედს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ამ დღეს შევესწარიით. დემოკრატიული გარდაქმნების, ისტორიულ ჭეშმარიტებათა აღორძინების და საჯაროობის პირობებში, მთელ თვალუწვდენელ ჭვეყანაში რომ სუფევს, დღეს ველარავინ გვაიძულებს, დაშინებითა და შანტაჟით თავზე ნაცარი წავიყაროთ და ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას, რის საგნობრივი გამოხატულება სწორედ სახელმწიფო ალამია, კვლავაც უკადრისათ შევეთამაშოთ. უკვე დადგა უამი, ქართული საისტორიო მეცნიერება და მხატვრული ლიტერატურა ფუნდამენტურად მიუბრუნდეს შვიდი ათეული წლის წინანდელ ამბებს და გარდასულ მოვლენათა და ისტორიულ პირთა მართალი, ჭეშმარიტების შუქით განათებული ეპოპეა მოგვცეს.

რ ე ვ ა ზ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

(გაზ. „თბილისი“ 1988 წლის 25 მაისი)

*) ცნობილი მწერლის რევაზ ჯაფარიძის ეს სტატია უცვლელად, სიტყვა-სიტყვით გადმობეჭდილია: „საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს“ სადამოს გაზეთ „თბილისი“-დან, იმ შეგნებით, რომ ის ჩვენს მკითხველებსაც დააინტერესებთ. ვფიქრობთ, თუ მხედველობაში მივიღებთ იქაურ ატმოსფეროს, ამ სტატიას ჩვენი კომენტარი არ ესაჭიროება, გარდა იმისა, რომ იგი დაწერილი ჩანს სიმართლის პატივისცემით და დიდი მამულიშვილური განცდებით. გ.

70 წლის თავი პარიზში

უკანასკნელი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთის ქართულ სათვისტომოში ყოველწლიურად თითქმის უცვლელი წესით ტარდება ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის წლისთავების აღნიშვნა:

I. 26 მაისს ყოფილ მეომართა საზოგადოების გაძლიერებული დელეგაცია ცოცხალი ყვავილებით ამკობს საფრანგეთის უცნობ ჯარისკაცის საფლავს და იქ ასრულებს საპატივცემო ცერემონიას, დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოს გაშლილი ალამით ხელში.

II. შემდგომად ამისა, მიმწუხრზე ჩვენს ეკლესიაში სრულდება ლი-

ტურღია და პარაკლისი, **III.** მეორე ან მესამე დღეს ხოლმე სახალხო დღესასწაულობა: მიტინგით, ვახშმით და ზნაურული განყოფილებებით.

წელსაც ყველაფერი ჩატარდა ტრადიციულად, იმ განსხვავებით, რომ ეკლესიაში, ტრაპეზის წინ აღარ ჩანდა მამა ილია მელიას ძვირფასი ბრგე ფიგურა. მისი ადგილი ეკავა მამა გაბრიელ ანრის, და საზეიმო საღამოც, საფრანგეთის მოულოდნელი საპარლამენტო არჩევნების გამო, ცოტა მოგვიანებით, **17** ივნისს გაიმართა. საღამო გაიხსნა ქართული და ფრანგული ეროვნული ჰიმნებით, რის შემდეგაც საზოგადოებას სიტყვებით მიმართეს: გამგებობის თავმჯდომარე ოთარ პატარიძემ, ქართულად, და წევრმა ოთარ ზურაბიშვილმა, ფრანგულად (ორივე სიტყვა აქვე იბეჭდება), რომელიც ტრიბუნაზე შეცვალეს სტუმრად მოწვეულმა, ჩვენს ბედში მყოფ ერთა: სომხეთის, უკრაინის, პოლონეთის, ავღანეთის, ლიტვის, რუმინეთის, იუგოსლავიის ემიგრაციების წარმომადგენლებმა.

საღამოს მხატვრული განყოფილება მთლიანად ეკავა ჩვენს ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, რომლებიც ნამდვილი ქართული განცდითა და ტემპერამენტით წარმოადგინა ჩვენმა ახალგაზრდობამ და მსმენელ-მაცურებელთა მოწონების მხურვალე ტაში დაიმსახურა. ზეიმი ახალგაზრდებმა მოდერნული ევროპული ცეკვებით გვიან გათენებამდე გააგრძელეს...

მაშ, არსებითი ცვლილება არაფერი ყოფილა? როგორ არა. მიჩვეული თვალი ვეღარ ხედავდა ძველ ცნობილ სახეებს. დროს თვისი წილი მსხვერპლი შეუწირავს. სცენაზე თუ დარბაზში ისინი ახალ სახეებს შეუცვლიათ, მაგრამ ჩვენს ემიგრაციაზე დაკისრებული მისია— ეროვნული დამოუკიდებლობის დროშის ძირს დაუხრელად ტარება — ძველებურად მტკიცედ გრძელდება...

ე თ ე რ ი

ოთარ პატარიძის სიტყვა

ძვირფასო და პატივცემულნო ქალბატონებო და ბატონებო!
70 წელიწადია, რაც ჩვენმა მამაცმა ერმა კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა და, **117** წლის ტყვეობის შემდეგ, დაუბრუნდა თავისუფალ ერთა ოჯახს. ხუთშაბათს, **26** მაისს **1918** წლისა, ნაშუადღევს **5** საათსა და **10** წუთზე, მთავრობის სასახლის თეთრ დარბაზში,

დამოუკიდებლობის 7 მუხლიანი აქტი წაიკითხა ეროვნული კაბეტისი თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ. ღმერთმა დალოცოს ეს დღე, რომელიც ჩვენი ეროვნული ერთობის სიმბოლოა!

როგორც ქართულ საბჭოთა პრესიდან ვგებულობთ, საბჭოთა იდეოლოგიამ ვერ გაანადგურა ოცდაექვსი მაისის რეალობა. ოცდაექვსი მაისის იდეალები კიდევ ცოცხლობს საქართველოში, რასაც, სხვათა შორის, ადასტურებს ჩვენი ერის სამართალდაცვითი და პატრიოტული მოძრაობის, მათ შორის ახლახან დაარსებული „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“-ს ჩვენამდე მოღწეული სხვადასხვა განცხადებები და დოკუმენტები, რომლებიც მოითხოვენ 26 მაისის, საქართველოს მკვდრებით აღდგენის დღესასწაულის ოფიციალურად აღნიშვნას.

ნისლი გადაიშალა... ცხადია, ისტორია არ უნდა იყოს დანისლული.

საინტერესოა და დამაფიქრებელიც კი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია სათაურით: „1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა“, რომელსაც ხელს აწერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი უშნანგი სიღამონიძე. ნება მიბოძეთ ამ სტატიიდან ორიოდ სტატია გაგაცნოთ.

„ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამორჩეულ ადგილს დაიკავებს 1918 წლის 26 მაისი. ისტორიისათვის უცხო არ არის, როდესაც ერის ცხოვრებაში მომხდარი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, გარკვეული პერიოდის მანძილზე, სხვადასხვა მიზეზით და უფრო ხშირად კი, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, მივიწყებულია; მისი აღნიშვნა, მოგონება აკრძალულია. ცხოვრების პროგრესი, წინსვლა, საზოგადოების დემოკრატიზაცია ბოლოს ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. სიმართლე იმარჯვებს“.

ქალბატონებო და ბატონებო, ფიცი მწამს... ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, ყოველ პატიოსან ქართველს ესიამოვნება. მოდით, ვნახოთ, ნუ ავლევდებით, დაუშვებელ შეცდომებს ნუ ჩავიდნთ, წყნარად და ობიექტიურად უცქიროთ ფაქტებს. მხოლოდ ერთი რამ ცხადია: 26 მაისი და სამშობლოს სიყვარული აერთებს მთელ ქართველობას, არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც.

ღიღება ქართველ ერს, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!



8/228

დღეს აღნიშნავთ ჩვენი ერის ეროვნულ დღესასწაულს - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების, 70 წლისთავს.

დღეს, ამ თარიღის საზეიმოდ აღნიშვნას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. იგი გამოხატავს ჩვენს იმედებს. საქართველოში ამჟამად მიმდინარე მოვლენების შუქში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ წლისთავს. საბჭოთა ხელისუფლება დიდი ხმაურით ლაპარაკობს ცხოვრების ლიბერალიზაციაზე, რაც მას შენიღბულ შესაძლებლობას აძლევს დათრგუნოს მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული ოპოზიციის. შეიძლება ითქვას, რომ რეპრესიების ტრადიციული ფორმები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ის ადგილს უთმობს ჩუმ ძირგამომთხრელ პროცესს. ცენტრალური ხელისუფლება ამჯერად პერიფერიული რესპუბლიკების მიმართ უფრო მოქნილ სტრატეგიას მიმართავს, იგი ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს, რომლებსაც საკუთარი მიზნებისათვის იყენებს. ცენტრალური ხელისუფლება ხელოვნურად ქმნის კონფლიქტებს თვით ცალკეულ ერებში, ერთმანეთს უპირისპირებს სხვადასხვა რელიგიებს თუ ეროვნებებს. ამ ვითარებას სამაგალითოდ ასახავს მესხების პრობლემა. როგორც ვიცით, 300.000 მესხი სტალინის დროს დეპორტირებული იქნა შუა აზიაში. ქართველი ინტელიგენციის დაწოლის წყალობით სამას ოჯახს მიეცა სამშობლოში დაბრუნების უფლება, მაგრამ არა მშობლიურ კუთხეში. საქართველოს ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობა ღიად მოითხოვს მესხების სრულ რეპატრიაციას და მათთვის წინანდელი ეროვნების დაბრუნებას, ესე იგი ქართველობისას. ასეთ პირობებში ბუნებრივად იბადება კითხვა ამგვარი კონფლიქტების დასაბამისა და მიზეზებზე...

რეგიონალური კონფლიქტების ჩანერგვის პარალელურად საბჭოთა ხელისუფლება სხვა სახის ტაქტიკასაც მიმართავს, მათ შორის, ისტორიული და კულტურული ძეგლების განადგურებას, ბუნებრივი მონაცემების ხელოვნურად შეცვლას, რასაც შედეგად მოსდევს გეოლოგიურ-მეტეოროლოგიურ-ეკოლოგიური პერტურბაციები. მაგალითისათვის შეგვიძლია დავსახელოთ დავით გარეჯისა და გელათის უნიკალური ხელოვნების ძეგლები, პირველი შექმნეს საუკუნის, რომელიც ახლა არტილერიის პოლიგონადაა გადაქცეული, ხოლო, მეორე კი, დავით აღმაშენებლის მიერ აგებული დიდებული აკადემია დღეს უწყალოდ ზიანდება ზებეგირითი სამხედრო თვითმფრინავების სასწავლო ფრენათა შედეგად. ასევე ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა დიდ ეროვნულ მუქარას წარმოადგენს ჩვენი სამშობლოსათვის, როგორც

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



დომინაციისა და ასიმილაციის საშიში იარაღი და ის წარმოდგენს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს შედგენილი გეგმების განხორციელებას. ამის შედეგად, საქართველოს ოპოზიცია, რომელიც წინა დროს მხოლოდ ადამიანის უფლებების დასაცავად იბრძოდა, დღეს ირანზე და ეროვნული ხასიათის მოთხოვნებით. სწორედ ამ სულიკვებით საქართველოში დაარსდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, რომლის მიზნები მთლიანად შეესაბამება ჩვენსას.

საბჭოთა რუსული ხელისუფლების ახალ ტაქტიკაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს — ეს არის ერთიანობა. ეროვნულ ერთიანობასთან ერთად საჭიროა არსებობდეს ერთა შორის ერთიანობაც. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს ჩვენი მეზობლებისა და მეგობრების დასწრება დღეს, ამ სახეიმო შეკრებაზე. სომეხ, პოლონელ, ავღანელ, ლიტველ, უკრაინელ, რუმინელ და იუგოსლაველ წარმომადგენელთა ამ დარბაზში ყოფნა არის სიმბოლო ჩვენი ერთიანობისა. ეს არის ჩვენი პასუხი დღეს.

გაუმარჯოს ოცდაექვს მაისს!..

პ ი რ ვ ე ლ ი 26 მ ა ი ს ი კ ი ა თ უ რ ა შ ი

იდგა საუცხოო მზიანი, თბილი მაისის დღე ქიათურაში. დედამ აღრე გამომაწყო ახალ ტანისამოსში და თანაც მიხსნიდა ამ დიდი დღის მნიშვნელობას. არ ვიცი თუ ყველაფერი კარგად შესმოდა. ყოველ შემთხვევაში, მეტად მზიარული და ბედნიერი ვიყავი, მითუმეტეს რომ, იმ დღეს სკოლაში სწავლა არ იქნებოდა! ვიცოდი, რომ დაგვაწყობდნენ და, მომღერალ გუნდით წინ, წაგვიყვანდნენ ქიათურაში რკინიგზის სადგურის ქვევით, სადაც გაიმართებოდა „მიტინგი“ და ქალაქის მამები და პარტიების წარმომადგენლები იტყობდნენ სიტყვებს. (მაშინ პირველად ვისწავლე, რომ: კრებას „მიტინგი“ ერქვა და მოქალაქეს — „ორატორი“.)

სკოლაშიდაც ბავშვები ჩემსავით სუფთად გამოწყობილნი დამხვდნენ და გვქონდა ერთი დიდი ჟივილ-ხივილი. უცდიდით დიდ ზეიმს. როგორც იყო გამოგვიყვანეს კლასებად, დაგვაწყვეს, გამოიტანეს წინ დიდი ტახტრევანი, შესვეს ზედ უფროსი კლასის მოწაფე ლამაზი ქალიშვილი ლოლობერიძისა, დაადგეს თავზე დიდი ლამაზი ყვავილების გვირგვინი. თეთრ მანდილში გახვეული, იგი წარმოადგენდა „თამარ მეფეს“. საუცხოო სურათი იყო! ასე დაწყობილი უნდა



მივსულიყავით დანიშნულ ადგილზე.

ჭიათურის სადგურთან რომ მივედით, უცბად მსვლელობა შეწყდა და აღარ ეშველა და აღარ მივდიოდით. ამან მეტად შემაწუხა. არ მესმოდა თუ რა ხდებოდა და რაში იყო საქმე. ჩვენ გვერდში იდგა მირიან ჭანიშვილი, პატარა სქელი კაცი, სოციალ-დემოკრატი. „მე წავალ წინ და ყველაფერს გავიგებო“. დიდხანს უცადეთ. უცბად დაიყვირეს: დაიშალენით! ჩვენც გაცეცხულნი ავირ-დავირიეთ. მე წინ გავიქეცი, რომ გამეგო თუ რაში იყო საქმე. შემომხვდა მირიანი უკან დაბრუნებული, ხელებს იქნევდა და ამბობდა: „გერაფერი გავაწყვეო“. აღელვებული იყო. წავედი წინ და ვხედავ სადგურის ბოლოს, ფეხსადგილების წინ, დგას წრე და ცხარედ კამათობენ. შუაშია ჩვენი სკოლის გამგე გიორგი ანთელიძე, გაფითრებული, ცხარედ მოლაპარაკე და მის გარშემო წრე ადამიანების, რომელთაგანაც ზოგი მას ეკამათებოდა. გ. ანთელიძე იყო ფიცხი და ამაყი გურული. მას ჰქონდა რუსეთში სწავლა მიღებული, ყავდა რუსი ცოლი, იყო სოციალ დემოკრატი და მთავარი მამა ჭიათურელი სოც. დემოკრატების.

რასაკვირველია, ყველაფერი დაწვრილებით არ მესმოდა, მაგრამ მაინც გავიგე შემდეგი: „რა შუაშია თამარ მეფე, ჩვენ თავისუფლება მოგვცა რუსეთის დიდმა რევოლუციამ და ჩვენმა მენშევიკურმა მოძრაობამო“ და სხვა. ბოლოს, ეტყობა, რომ თავისი გაიტანა, ტახტრევანი მოხსნეს, ეოლობერიძის ქალი ძირს ჩამოაგდეს, მის თეთრ მანდილს მტვერში მიათრევდა, გვირგვინი სახეზე ჩამოფხატოდა და საცოდავ სურათს წარმოადგენდა.

ამ მოვლენამ მეტად შემაწუხა და დამაღონა, თუმცა მისი მნიშვნელობა კარგად არ მესმოდა. ასე დაშლილი მივედით დანიშნულ ადგილზე. უკვე დაცხა და დავიდალენით. გრძელი სიტყვები გრძელდებოდა, ორატორები ართმანეთს ცვლიდნენ. მე ბევრი არაფერი მესმოდა და აღარც სურვილი მქონდა მათი გაგებისა.

*

ეს ამბავი შეიძლება საინტერესოც არ ყოფილიყო, რომ ის არ ლაპარაკობდეს იმ სინამდვილეზე, რომლებიც მერმე მე ჩვენს ცხოვრებაში შემხვდნენ.

ერთი მხრივ თუ ქართველი უმრავლესობა მძიმე ნივთიერ და სულიერ მდგომარეობაში იყო, მისი ერთი ნაწილი, გაწვრთნილი მარქსისტულ-მენშევიკურ მოძღვრებაში, ეძებდა გამოსავალსა და საშველს

ამ სწავლებაში. საქართველოში დემოკრატია ახალი მოვლენაა. სინამდვილეში, ჩვენში მმართველობა საუკუნეების განმავლობაში მამა-მთავრული იყო და ის ახასიათებდა ჩვენს ახალ სახელმწიფო-საც. მისი მთავარი – ნოე უორდანიას საუცხოო წარმომადგენელი და დამახასიათებელი იყო ამ მოძრაობისა და ძველისაც. ის ლაპარაკობდა სოციალიზმზე და გულისხმობდა თვის პარტიის ბატონობას. პირად ცხოვრებაში თავდაქერილი, შემართული და წარმოსადეგი შეხედულების, მას აძლევდა **მოძღვართმავრის** სრულ სახესა და შინაარსს. მისი მიმდევრებიც მას იხსენიებენ როგორც: „დიდი ნოე“, „ბელადი“. (მახსოვს, 1927 წელს ბიძაჩემმა სვიმონ წერეთელმა აკაკი ჩხენკელთან წამიყვანა. ის ნოე უორდანიას იხსენიებდა ჩემთან: „მოხუცმა თქვა“, „მოხუცი ფიქრობს“, თუმცა იმ დროს ის არც ისე მოხუცი იყო.) მოწინააღმდეგე „ავმა ენებმა“ კიდევ სხვა თქვეს მის შესახებ. „საცოდავი ნოე“ მგონი არავის უთქვამს.

ნოეს პარტიის მიზანი იყო: **არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, პირდაპირ სოციალიზმისაკენ**: მათი საშუალება ამის მისაღწევად: ძლიერი სოციალ-დემოკრატიული პარტია. ახალშობილ დამოუკიდებელ საქართველოს წინაშე კი იდგა სხვა ორი დიდი და გადამწყვეტი საკითხი გადასაჭრელად: ნივთიერი უზრუნველყოფა და სამხედრო თავდაცვა. სამწუხაროდ, ამ ორი დიდი საჭიროებისათვის სოციალ-დემოკრატიული პარტია სინამდვილეს მოკლებულ საფუძვლებზე იდგა და სუსტად ასრულებდა საჭირო საქმეებს.

ჩვენ არ გვაქვს წარმოდგენა, როგორი იქნება ჩვენი შეილიშვილების საზოგადოება ყოველი ტექნიკური, ნივთიერი, კულტურული და სხვა მრავალი ცვლილებების შემდეგ. მაშასადამე, სოციალიზმის შენებას აზრი არ ჰქონდა. აგრეთვე მათი პოლიტიკა მიწების ჩამორთმევისა და დაყოფისა, თითქოს: „მიწა მიწის მუშას“, იყო ნივთიერი შეცდომა: **I**. მოიშალა ის ნაწილი სოფლის მეურნეობისა, რომელსაც კარგად ჰქონდა აწყობილი მიწის დამუშავება, ის შემოსავლიანი იყო და სხვებსაც საზრდოს აძლევდა, **II**. დაქუცმაცებულ პატარა მიწაზე მოუმზადებელი სოფლის გაჭირვებული მეურნე შემოსავალს ვერ გამოიღებდა, **III**. ჩვენში სოფლად დიდძალი მოსახლეობა იყო დაბმული, მომავალი კი მოითხოვდა ახალ წარმოებებში, სავაჭრო და სხვადასხვა საქმიანობაში მათ გადაყვანას და არა სოფელში უმწეოდ მათ დატოვებას, დაქუცმაცებულ მიწებზე, **IV**. და ბოლოს, ვხედავთ, რომ სოფლის მეურნეობა თანდათან მოითხოვს

დიდ ტექნიკას და მეცნიერულ ცოდნას, რაც დიდი უმრავლესობისათვის მის მიუწვდომელია. (საინტერესოა ამ მხრივ ნოე რამიშვილის საკლავანცხადება დამფუძნებელ კრებაზე: „მიწის რეფორმამ ცხოვრება გააძვირაო.“) მათი სოციალისტური მიდრეკილება საქმიან ხალხს აშინებდა და საფუძველს არმეგვა ჩვენში განსაკუთრებით უცხო კაპიტალის დაინტერესებას. (მახსოვს ჯერ კიდევ მამიჩემისგან ნაამბობი: „ჩვენმა სოციალისტებმა შავი ზღვის ნაპირზე ბაქოს ნავთის გადამუშავების მწარმოებლები გააქციეს მათი გაფიცვებით და მოთხოვნალებებითო“. ის თავის ყმაწვილობაში თვითონ მუშაობდა იქ.)

აგრეთვე ასე იყო მეორე უმთავრესი დარგი ჩვენი სახელმწიფოსი – თავდაცვის მტკიცედ მოწყობა. არ უწყობდა ხელს ამ დარგს მათი მაინცდამაინც არნდობა მხედრობისადმი. არც გვარდიის არსებობა იყო მიზანშეწონილი, თუმცა დასაწყისში მან შეასრულა თვისი როლი. მაგრამ მმართველ სოც. დემოკ. პარტიას სჭირდებოდა გვარდია, როგორც მისი უშუალოდ დამცველი ისევე როგორც მიწის რეფორმა, რომელიც მათ აძლევდა წვრილი გლეხობის საარჩევნო ხმას, რაც საჭირო იყო მათი უმრავლესობაში დასარჩენად. მახსოვს ბრიუსელში ევგენი გეგუპკორთან საუბარი. მან მითხრა: „თუ დიდი რუსეთი გადაწყვეტდა საქართველოს დაპყრობას, მას ჩვენ მაინც ვერ გაუძლებდითო“, ეს, რასაკვირველია, მძიმე საბუთია, მაგრამ მაინც ძნელია იმის თქმა თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო სხვა, უფრო მომზადებულ პირობებში. ვნახეთ, რომ პოლონეთმა, ფინეთმა და სხვებმა მოახერხეს თავის დაცვა. მათ დამხმარეებიც კი აღმოუჩნდნენ, როდესაც ჩვენ მარტონი დავრჩით.

სამწუხაროდ საქართველოს დამოუკიდებლობას ბევრი დრო არ ჰქონდა რომ ხალხი მართლაც დემოკრატიულად გაწვრთნილიყო და დაცვა თავი და თვისი ინტერესები საჭიროებისადა მიხედვით.

საინტერესოა ამ მხრივ სერგო აფანასიანის წიგნი: *I'Armerie, I'Azerbaijan et la Georgie (1981)*. ამ წიგნში ჩანს, რომ არც ჩვენი მეზობლები იყვნენ უკეთეს პირობებში და ჩვენზე უფრო მომზადებულნი.

დღეს ეს საკითხი პატარა ერების თავისუფლებისა ეკუთვნის დიდ პოლიტიკას და თვითეული მათგანი მარტო მას ძნელად თუ გადაწყვეტს, მაგრამ თვითეულმა უნდა იცოდეს, როგორც მოქალაქემ, საერთო კეთილდღეობის გზა და თვისი მოვალეობა.

კიდევ გვინდა დაუმატოთ, იქ ქართველ მოქალაქის საყურადღებოდ:



საშიშროებაზე, რომლებზედაც მათ იქ ელაპარაკებიან, არის უფრო მათი წყობის შედეგი. ჩარევა ერთი სახელმწიფოსი მეორეში არ არის უკეთესი საშუალება საკითხის მოსაგვარებლად. არც ერთი „პარტოკრატია“ არის უკეთესი ხერხი. დემოკრატია ძნელი წარმოსადგენია უპარტიოებოთ. საჭიროა ზუსტი განსაზღვრები და მდგომარეობის მიუდგომელი შეფასება და არა მემარცხენე დებულე-ბათა თაყვანისცემა.

საბჭოეთი არის მეტად ძლიერად შეიარაღებული და იმყოფება სუ-სტ ნივთიერ პირობებში. ასეთი წყობა ყოველთვის წარმოადგენს სა-შიშროებას თვისი მეზობლებისათვის. მაგრამ დღევანდელ საერთო ომში გამარჯვებული ვერავინ გამოვა.

ბოლოს გვინდა ვთქვათ: დამოუკიდებელ საქართველოში ძლიერი სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო წყარო და სათავე შეცდომები-სა, რადგან მას არ ჰყავდა სათანადო ძლიერი მეტოქე მიმდინარე-ობანი. ჩვენი მიწის საკითხი და თავდაცვის საკითხი არიან ამის მაგალითები.

ირაკლი ოთხმეზური

*** *** *** ***

26 მაისის ზეიმი ნიუ-იორკში

ამა წლის ზეიმი განსაკუთრებული ხასიათის გახლდათ: 70 წლის-თავი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან.

მოსაწვევი ბარათით, გამგეობა საზოგადოებას აუწყებდა, რომ შა-ბათს, 21 მაისს, ნიუ-იორკის ერთ-ერთ მთავარ ეკლესიაში კონცერ-ტს გამართავდა ახალგაზრდა ამერიკელი სტუდენტებისაგან შემდგა-რი „ქართული ანსამბლი“, საქართველოს დამოუკიდებლობის 70 წლის-თავის აღსანიშნავად და რომ შესრულებული იქნებოდა, როგორც ხალხური, ისე სასულიერო სიმღერა-გალობები. კონცერტის შემდეგ კი, ესტონელთა სახლში გაიმართებოდა საზეიმო ცერემონიალი და, ბოლოს, ბუფეტი-სადილი.

პროგრამის თანახმად, ეკლესიაში თავი მოიყარა, არა მარტო მრე-ვლის წევრებმა, არამედ ქართული სათვისტომოს წევრებმა და სტუ-მრებმა. ფართო საზოგადოების წინაშე გამოვიდნენ მშვენიერი ახ-ალგაზრდა ქალ-ვაჟნი, მათ შორის რამდენიმე ჩოხოსანიც. მათი რი-ცხვი 27-ს უდრიდა. წარმოუდგენლად კარგი შთაბეჭდილება მოახდი-ნა მათ მიერ შესრულებულმა ხალხურმა, კლასიკურმა და ლიტურ-გიულმა სიმღერა-გალობამ. მღეროდნენ და გალობდნენ არა მარტო



ქართულ არამედ სხვადასხვა ერთა სიმღერებსაც: სქარბობდა, თქმა უნდა, ქართული. თუ სიმღერა-გალობას სულგანაბრებდა, ნენ, ყოველი ნომრის შემდეგ ალტაცებულ ყრიამულსა და ტაშისცემას ბოლო არ ჰქონდა. განსაკუთრებული მოწონება ხვდათ წილად: „რომელნი ქერუბიმთა“-ს და „შენ ხარ ვენახი“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „სულიკო“, „ჩელა“ და სხვათაც.

საზოგადოება მეტად კმაყოფილი დაიშალა და მრავალმა მათგანმა თავი მოიყარა ნაშუადღების ხუთი საათისთვის ესტონელთა სახლში და მათ მრავალი ამერიკელი სტუმარი, ქართველი ებრაელებიც შეუერთდნენ. დარბაზი ძლივს იტევდა ხალხს. ასეთი ხალხმრავლობა არ ახსოვს 26 მაისობას ნიუ-იორკში. სხდომა გახსნა ქართ. სათვისტომოს თავმჯდომარემ, მედიცინის მეც. დოქტორმა, ფსიქიატრმა ავთანდილ პაპიაშვილმა, რომელმაც ორივე ენაზე-ქართულად და ინგლისურად ვრცლად ილაპარაკა ოცდაექვსი მაისის მნიშვნელობაზე, მის წინამორბედ ისტორიულ მოვლენებზე, ერთა უფლებებსა და პიროვნების თავისუფლებაზე საზოგადოდ.

საზოგადოების წინაშე მკვექარე სიტყვით გამოვიდა 94 წლის გიორგი ნაკაშიძე, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ქართული ენის მასწავლებელი სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში (ვარშავის უნივერსიტეტი, კოლუმბიის უნივერსიტეტი(ნიუ-იორკში), ამერიკის უნივერსიტეტი(ვაშინგტონში)). იგი გახლდათ ერთ-ერთი თანადამხდური და მოწმე დიდ მოვლენათა: თებერვლის რევოლუციისა, ოქტომბრის კონტრარევოლუციისა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებისა, თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის გახსნისა, 26 მაისისა ... გ. ნაკაშიძე გახლდათ ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც 1918 წლის იანვარში გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტად ჩაირიცხა. მან ყოველივე ეს გაიხსენა და მოუთხრო შეკრებილთ, ქართულად და ინგლისურად. მხცოვან მოღვაწეს ოვაცია გაუმართეს. მან მეორედაც ილაპარაკა, ამჯერად მან მიმართა „ქართული ანსამბლის“ წევრებს, შეაქო მათი დახელოვნება, მაღლობა გადაუხადა მათი ღვაწლისა და დამსახურებისათვის ქართული მუსიკისა და ენის პოპულიარიზაციის საქმეში და ბოლოს ამ სიტყვებით დაასრულა: „მე თქვენ გიწოდებთ ამერიკელ არგონავტებს. ბერძენმა არგონავტებმა თუ საქართველოს მშვენიერი მედეა მოსტაცეს, თქვენ, მშვენიერმა ამერიკელმა არგონავტებმა, საქართველოს მოსტაცეთ გული“. მანვე დასძინა: „გასაოცარი! თქვენმა

„ცანგალა და გოგონამ“ ეს მოხუცი ადამიანი კინალამ სკამიდან წვე-
მომავლო, მაგრამ მჯდომი ფეხებს მაინც ვაცეკვებდიო“ *გინჯლოთქა*

სხდომას მიესალმა, ქართველებს 26 მაისი მოგვილოცა და სიტყვა-
მოგონებით გამოვიდა „ქართული ანსამბლის“ მუსიკალური დირექტო-
რი გრეგორი სალმონი, რომელიც საბჭ. კავშირიდან ორიოდ კვირის
დაბრუნებული იყო. მან საზოგადოებას მოუთხრო თუ როგორ დაიწ-
ყო მათი დაინტერესება ქართული მუსიკით, როგორ ჩამოყალიბდა
ანსამბლი, რა წარმატება ხვდა, სად გამოდიოდნენ კონცერტებით,
შეხვედრები საქართველოში და სხვა. სხვათა შორის, საქართველო-
დან მას ჩამოუტანია ორი ბოთლი „ქინძმარაული“ და მოგვიანებით,
ბანკეტზე, ყველას დაუხსა. ამდენ ხალხს სად გასწვდებოდა ორი
ბოთლი, მაგრამ, როგორც იტყვიან: „თითო წვეთი ყველას შეხვდა“,
თანაც გუნდი მრავალჯამიერს მღეროდა.

მოკლე, მაგრამ მგრძნობიერი სიტყვით მიმართა ანსამბლის პრეზი-
დენტმა ფრანკ კეინმა. მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა
აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანისას შვილმა რეჯ-
ებმა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სიტყვა თქვა, საკუთარი ლექსი
წაიკითხა, პიანინოზე დაუკრა და დაამღერა სულ ახლახან, გასულ
იავარს, საქართველოდან ჩამოსულმა და აქ დარჩენილმა გურამ ოქ-
როპირიძემ. ის გახლავთ კომპოზიტორი, პიანისტი. 15 ივლისს ის
საკუთარ კონცერტს გამართავს ერთ-ერთ ცნობილ საკონცერტო დარ-
ბაზში.

დიდი ინტერესი გამოიწვია ძმები თენგიზ და ელუარდ გუდაგების
დასწრებამ ჩვენს ზეიმზე. თენგიზი სხვა ხუთ დისიდენტთან ერთად
17 მაისს შეხვდა პრეზიდენტ რეიგანს, რომელსაც გააცნო საქართ-
ველოში პატრიოტული მოძრაობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის
ფაქტები. ელუარდ გუდავამ ამ შეკრებილებას მოუთხრო დისიდენტე-
ბის შევიწროების ამბები საქართველოში, რუსიფიკატორული პოლი-
ტიკა ქართველთა მიმართ და სხვა.

ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ სტუმრები მიიწვიეს
ბანკეტზე და მათ მართლაც ქართული სიუხვით და ხელგაშლილობით
გაუმასპინძლდნენ. დაიწყო ქართული ნადიმი სადღეგრძელოებით, სი-
მღერებით, ცეკვებით... ლხინი შულამემდე გაგრძელდა.

(რადიო „თავისუფლების“ გადაცემიდან)

სსრ კავშირის ხალხთა პატრიოტული მოძრაობების საკო-
ორდინაციო კომიტეტის შექმნა

ჩვენამდე მოაღწია თვითგამოცემის დოკუმენტმა, რომელიც იუწყე-
ბა, რომ: 11 და 12 ივნისს ქ. ლვოვში მიმდინარეობდა საბჭოთა
კავშირის ხალხთა პატრიოტული მოძრაობების წარმომადგენელთა თა-
თბირი, რომელშიც, სხვათა შორის, მონაწილეობდა მერაბ კოსტავა,
როგორც ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წარმომადგენელი. თათბი-
რმა შექმნა სსრკ ეროვნულ მოძრაობათა საკოორდინაციო კომიტეტი
და შეიმუშავა განცხადებისა და დეკლარაციის ტექსტები:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩვენ, ლვოვში გამართული საბჭოთა კავშირის ხალხების ეროვნულ-
პატრიოტული მოძრაობების წარმომადგენლების თათბირის მონაწილე-
ნი ვაცხადებთ:

საბჭოთა კავშირში წარმოებული დემოკრატიზაციისა და საჯარო-
ობის პოლიტიკა სრულებით არ შეხებია საბჭოთა კავშირის მთავარ
გადაუჭრელ პრობლემას - ეროვნულ საკითხს. ხელისუფალთა რეაქცი-
ამ ყაზახეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ლიტვაში, ლატვიაში, ეს-
ტონეთში, საქართველოსა და უკრაინაში მომხდარ ამბებზე, ებრაე-
ლთა და ყირიმელ თათართა მოძრაობების გააქტიურებაზე, მოსკოვ-
ში ეროვნული საკითხების დამოუკიდებელი განხილვის ცდაზე დაგ-
ვანახა, რომ მმართველ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას არ სურს
ან არ ძალუძს ეროვნულ წინააღმდეგობათა რთული კვანძის გახსნა.
ეს წინააღმდეგობები მას შთამომავლობით დარჩა, კოლონიალური
ექსპანსიის გზით შექმნილი რუსეთის იმპერიისაგან, გაღრმავებული
თვითმპყრობელურად, და არა სტალინისა და მისი მემკვიდრეების
თითქოსდა სიონისტური პოლიტიკის შედეგად. მომავალი პარტიული
კონფერენციისადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენ-
ტრალური კომიტეტის თეზისებიდან და რესპუბლიკებში ამ კონფერე-
ნციაში მონაწილეობისათვის არჩეულ დელეგატთა რეაქციული შემად-
გენლობიდან გამომდინარე, ჩვენ არ ველით ეროვნულ საკითხზე და-
დებით გადაწყვეტილებებს, არც პარტიული კონფერენციიდან და არც
გაურკვეველი მომავლისათვის დაგეგმილი მმართველი პარტიის ცენტ-
კომიტეტის სპეციალური პლენუმისაგან.

არარუს ხალხთა ეროვნულ მოძრაობებთან, წარსულში მოუძმწიფე-

ბელ რუსულ დემოკრატიულ მოძრაობასთან და საერთოდ დემოკრატიულ დისიდენტობასთან მრავალწლიანი კონტაქტებიდან მიღებული ჩვენმა პირადმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ რუსული დემოკრატიული ოპოზიციის მოღვაწეებს ჯერაც ვერა აქვთ გაგებული დემოკრატიის აქსიომა: **სხვა ერთა მტანჯველი ერი, არ შეიძლება იყოს ქეშმარიტად თავისუფალი.** აქედან გამომდინარეობს ეროვნულ პრობლემათა მნიშვნელობის შეუფასებლობა და ეროვნულ მოძრაობათა რადიკალიზაციისადმი, კულტურულ-ენობრივ მოთხოვნათა კალაპოტიდან მათი ამოვარდნისადმი შიში.

ვღებულობთ რა ყოველგვარ უპირობო დახმარებას გარედან, იქნება ეს აღორძინებული რუსული დემოკრატიის, თუ მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალებისაგან მომდინარე, ჩვენ ამასთანავე კარგად გვესმის, რომ ჩვენი ხალხები, თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისადმი თავიანთ სწრაფვაში მხოლოდ თავიანთ თავს უნდა დაეყრდნონ.

ჩვენ უკუვაგდებთ სტატუს-ქვოს შენარჩუნებისათვის მზრუნველ რეაქციულ ძალთა ცდებს, დაგვშალონ. აზერბაიჯანელები გადავიდნენ სომხებს, რუსები და უკრაინელები ყირიმელ თათრებს, ქრისტიანები მაჰმადიანებს, მართლმადიდებლები კათოლიკებს, ყველა ერთად წაჰკიდონ ებრაელებს და ასე შემდეგ. ჩაგრულ ხალხთა ძალა და მათი მიზნის მიღწევის პირობები ჩვენს ერთობაშია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბოლო დროს ეროვნულ მოძრაობათა ზრდამ და ამ მოძრაობათა მიერ მოთხოვნათა ფართო სპექტრის წამოყენებამ (ენობრივი, ეკონომიკური, ტერიტორიული მოთხოვნებიდან სრულ თვითგამორკვევამდე), დღის წესრიგში დააყენა სხვადასხვა რესპუბლიკებში დაგროვილ გამოცდილებათა ურთიერთგაზიარებისა და საბჭოთა კავშირის ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობათა მოქმედებების კოორდინაციის აუცილებლობა. ამიტომ ჩვენ, წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა (საქართველოდან), „ჰელსინკი -86“ -ის ჯგუფისა (ლატვიაიდან), ლიტვის ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობისა, უკრაინის ჰელსინკის ფედერაციისა (რომელიც შეიქმნა უკრაინის ჰელსინკის ჯგუფის ბაზაზე), ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა, სომხეთის ეროვნული თვითგამორკვევის საზოგადოებისა, ვღებულობთ გადაწყვეტილებას: **საბჭოთა კავშირის ხალხთა პატრიოტული მოძრაობების საკოორდინაციო კომიტეტის შექმნის შესახებ.**



1988 წლის სექტემბრისათვის დაგეგმილ შემდგომ ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობებში რისო თათბირამდე საკოორდინაციო კომიტეტში შედიან შემდეგი ეროვნულ მოძრაობათა წარმომადგენლები: მერაბ კოსტავა (საქართველო), ივარ ჟუკოვსკისი (ლატვია), ანტანას ტერლაცკიასი და ევგენიუს კრუკოვსკისი (ლიტვა), სტეპან ხმარა და ვიაჩესლავ ჩერნოვილი (უკრაინა), ლაგლა პარეკი და მათი ვილუ (ესტონეთი). სომხეთის წარმომადგენლები შემდეგში იქნებიან გამოცხადებული.

საკოორდინაციო კომიტეტი არ ირჩევს თავის თავმჯდომარეს. საკოორდინაციო კომიტეტი მთლიანად იქნება გადარჩეული საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობების წარმომადგენელთა შემდეგ თათბირზე.

საკოორდინაციო კომიტეტს შეუძლიათ შეუერთდნენ სხვა აშკარა დემოკრატიულ-ეროვნულ მოძრაობათა წარმომადგენლები.

საკოორდინაციო კომიტეტი სამ თვეში ერთხელ აქვეყნებს ბიულეტენს. ეს ეგალება იმ რესპუბლიკის წარმომადგენლებს, სადაც იმართება მორიგი თათბირი.

1988 წლის 12 ივნისი

დასკვნითი განცხადება

ჩვენ, საბჭ. კავშირის ხალხთა ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობათა თათბირის მონაწილეები, თათბირისა, რომელიც გაიმართა ლვოვში 11 და 12 ივნისს, პოლიტბატმართა დაცვის ეროვნებათაშორისო კომიტეტის ინიციატივით, მოვისმინეთ რა ცნობები საქართველოში, ლატვიაში, ლიტვაში, უკრაინასა და ესტონეთში არსებული მდგომარეობის შესახებ და გავეცანით რა დოკუმენტებს სომხეთის ეროვნული მოძრაობის შესახებ,—მოძრაობისა, რომლის წარმომადგენლები ვერ ჩამოვიდნენ თათბირში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მხარს უჭერენ მის მიზნებს,—გაცხადებთ, რომ საბჭ. კავშირის კომპარტიის ხელმძღვანელობა და მთავრობა უძღურია გადაჭრას მრავალეროვანი სახელმწიფოს ყველაზე რთული—ეროვნული პრობლემა.

საბჭ. კავშირის შემადგენლობაში ძალით შეყვანილი ხალხები, რომლებიც თავიანთ იმედებს საბჭოთა ხელმძღვანელობის ახალ კურსს უკავშირებენ, სასტიკი გაფრთხილებით აღვიქვამთ მთიანი ყარაბაღის სომეხი მოსახლეობის ნება-სურვილის ფეხქვეშ გათელვასა და ფაქტიურად ხელისუფალთა მიერ პროვოცირებულ შუა საუკუნოვან



ხოცვა-ჟლეტას სუმგაითში, აგრეთვე, ე. წ. „გრომიკოს კომისიის“ მიერ ყირიმელი თათარი ხალხის მოთხოვნის უკუგდებას, რომელიც მოთხოვნს სამშობლოში ორგანიზებულ დაბრუნებას და თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

ჩვენი ღრმა გულგატრეება გამოიწვია ჩვენს რესპუბლიკებში, სტალინურ-ბრეჟნეველ ყაიდაზე ჩატარებულმა, პარტიულ კონფერენციის ე. წ.—მა არჩევნებმა, რომელთა შედეგად ჩვენი ხალხების ბედის განმსაზღვრელი უნდა იყოს ძირითადად გუმინდელი ხალხი, რომელსაც პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება საბჭოთა სახელმწიფოს ჩვენი რესპუბლიკების დღევანდელი სავალალო მდგომარეობისათვის.

თათბირში ლიტვიდან, ლატვიიდან, და ესტონეთიდან მონაწილენი მხარს უჭერენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის სამართალდამცველებმა წაუყენეს საბჭოთა მთავრობას, 1988 წლის 12 იანვრის მიმართვაში. ეს მოთხოვნებია: რესპუბლიკათა ეროვნული ენებისთვის სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭება, ამ ენათა შესწავლა რესპუბლიკათა მთელი მოსახლეობის მიერ, ეროვნულ ენათა სანქციონირება რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; კულტურულ-ეროვნული ავტონომია ეროვნული უმცირესობისათვის, მათ შორის რუსებისთვისაც; გადასახლებული ხალხების სამშობლოში დაბრუნება, ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების საზღვრების დაზუსტება, თავიანთ ხალხებთან შეერთების უფლება იმ ეროვნებებისათვის, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ გააჩნიათ თავიანთი სახელმწიფოებრიობა, ეკონომიკური გენოციდის თავიდან აცილება ეკონომიკის ცენტრალიზებული დაგეგმის მეშვეობით, მოსახლეობის წინასწარგანზრახულ გადაადგილებათა შეწყვეტა.

ამასთან ერთად, ჩვენს ექვს რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის შესახებ აზრთა ურთიერთგაცვლისა და ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობაში მონაწილეობის გამოცდილებიდან გამომდინარე, დავრწმუნდით, რომ გარდა ჩამოთვლილისა, ჩვენი ხალხებისთვის აქტუალური გახდა ასევე შემდეგი საკითხები: ყოველი რესპუბლიკის მოქალაქეობის დადგენა და ზუსტი განსაზღვრა, რესპუბლიკებში მუდმივ საცხოვრებლად სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ჩასვლის შეზღუდვა, ხოლო ცალკეულ კრიზისულ შემთხვევაში (როგორც ამას ადგლი აქვს ლატვიაში, ესტონეთში და სხვაგან), ამ ჩასვლის სრული შეწყვეტა და მოსახლეობის ნაწილის რეემიგრაციაც კი;



რელიგიურ საკითხებში რესპუბლიკათა სრული სუვერენიტეტის უზუნველყოფა, მათ შორის ზოგიერთ რესპუბლიკებში განადგურებულ ეკლესიათა აღდგენა; განადგურებული ცენტრალიზებული ეკონომიკის ნაცვლად, სრული სამეურნეო ანგარიშგების დაფუძნება, შრომა-გა-სწორების კანონმდებლობისა და მთელი პანიტენციალური (სატუსალო) სისტემის გადასინჯვა იმ მიზნით, რომ გამორიცხული იქნას ტუსაღ-თა იძულებითი შრომის გამოყენება, თავიანთ რესპუბლიკათა ფარგლ-ებს გარეთ; საბჭოთა არმიაში ეროვნულ შენაერთთა ფორმირება, რომ ჯარში გაწვეულმა სავალდებულო სამხედრო სამსახური მშვიდობიანობის დროს მოიხადოს თავისი რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ყველა ეს მოთხოვნა უცილობლად დაკავშირებული სრულ პოლი-ტიკურ და ეკონომიკურ დეცენტრალიზაციასთან საბჭ. კავშირში, რომელიც მომავლისთვის გვესახება როგორც ცალკეული სუვერენული სახელმწიფოების კონფედერაცია.

ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის გამოცდილებათა ურთიერთგაც-ვლისათვის და მორიგ თათბირთა შორის საერთო მოქმედებათა შე-თანხმებისათვის, ჩვენ გადავწყვიტეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა პატრიოტულ მოძრაობათა საკოორდინაციო კომიტეტის დაარსება. მისი ერთ-ერთი მოვალეობაა, ჩვენს რესპუბლიკათა მასალებზე დაყ-რდნობით, კონკრეტული დამუშავება ზემოთ დასახელებული ყველა ცალკე აღებული მოთხოვნისა.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საბჭოთა პო-ლიტპატიმართა განთავისუფლების ჯერაც საბოლოოდ გადაუწყვეტელ საკითხსა და წარსულის რეპრესიული პოლიტიკის განახლების ცდათა ფაქტებზე. ეს ცდები გამოვლინდა პოლიტიკური ბრალდებებით ცნო-ბილი სომეხი სამართალდამცველის პარუი არიკიანისა და ახალგა-ზრდა ესტონელი პატრიოტის სევერტ ჟოლდინის დაპატიმრებაში. ამ საკითხებზე მიღებულია სპეციალური მიმართვები.

1988 წ. 12 ივნისი, ქალაქი ლგოვი.

დეკლარაციას ხელს აწერენ ზემოდ დასახელებული საკოორ-დინაციო კომიტეტის წევრები. პლუს უკრაინის ქვეკომიტე-ტის წევრები: ბოგდან გორინი, მიხაილო გორინი, ზინოვიი კრასივსკი, ოლეს სერგიენკო, პავლო სკოჩოკი.

რუსულიდან თარგმნა ზურაბ ნარსიამ



კომენტარი ცხელ გულზე.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ ცნობას: **სსრკ ხალხთა პატრიოტული მოძრაობების საკოორდინაციო კომიტეტის** შექმნის თაობაზე. დამპყრობი და დაპყრობილი ხალხების ერთ პოლიტიკურ პარტიაში თუ მოძრაობაში დარაზმვა, მაგალითად ისეთი ტიპისა და ხასიათის, როგორც იყო „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“ (რ.ს.დ.მ.პ.), საბოლოოდ მაგნეა და, მამასადამე, მიუღებელი დაპყრობილი ერისათვის. სამაგიეროდ, რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა ეროვნული დარაზმულობების შეთანხმებული მოქმედება, მათი კოორდინაცია აუცილებლად საჭირო და სასურველია. ამიტომაც, ჩვენ მხურვალედ ვესალმებით ამ მხრივ გადადგმულ პირველ ნაბიჯებს და მის ორგანიზატორებს ვუსურვებთ სრულ წარმატებას მათ მიერ დასახული მიზნების წარმატებით შესრულებაში.

მხოლოდ ერთი რეზერვი: საკოორდინაციო კომიტეტის მიერ გამოცხადებულ საპროგრამო მოთხოვნების დასკვნით წინადადებაში ნათქვამია: „ყველა ეს მოთხოვნა უცილობლადაა დაკავშირებული სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დეცენტრალიზაციასთან საბჭოთა კავშირში, რომელიც მომავლისთვის გვესახება როგორც ცალკეული სუვერენული სახელმწიფოების კონფედერაცია.“ ყველა პატრიოტული მოძრაობის მთავარი მიზანია მისი სამშობლოს სუვერენობის განხორციელება. ჩვენს შემთხვევაში ეს ნიშნავს **1918 წლის 26** მაისის აქტით მოპოვებული ეროვნული სუვერენობის, რომელიც ძალით მოგვისპო საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ, აღდგენას, ხელახლა განხორციელებას. ეს უნდა „ესახებოდეს“, ეს უნდა იყოს მთავარი მიზანი ყველა ქართული პატრიოტული პარტიისა თუ პოლიტიკური მოძრაობისა. ხოლო დამოუკიდებელი და სუვერენი ერი შემდეგ თვით გადაწყვეტს სუვერენულად, თუ რა ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა სურს დაამყაროს წინაღ საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან. სუვერენ ერთა კავშირ-ურთიერთობები ამ ერთა შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით უნდა იქნას დამყარებული და არა გორბაჩოვის თუ სხვა საბჭოთა მთავრობის წყალობით.

გუშაგი

რ ე ი გ ა ნ ი კ რ ე მ ლ შ ი

ვინ წარმოიდგენდა ამ ოთხი-ხუთი წლის წინად, რომ ამერიკის პრეზიდენტი ბ-ნი რონალდ რეიგანი ოდესმე კრემლს ეწვეოდა საბჭო-

თა ხელისუფლების მიწვევით? მაგრამ დღეს ეს უკვე შესრულებული ფაქტია. მარტო ეს ამბავი თავისთავად მეტყველებს, თუ რა დიდი გზაა გავლილი ანტაგონისტური დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების მიმართულებით, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის და საერთოდ დასავლეთის დემოკრატიულ მსოფლიოსა და კომუნისტური ბლოკის მსოფლიოს შორის.

გასული წლის ბოლოს, როცა მ. გორბაჩოვი ვაშინგტონში ამერიკის მთავრობას ესტუმრა, სადაც მან და ამერიკის პრეზიდენტმა, სხვათა შორის, ხელი მოაწერეს ახლო და საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის ევროპის ფრონტებიდან გატანის და განადგურების ხელშეკრულებას, მაშინ მათ პაემანი დადგეს მოსკოვში ამ წლის პირველი ნახევრისათვის, რომლის მთავარ გეგმად დაისახეს სტრატეგიული ატომ-ბირთვული იარაღების ორივე მხრივ ორმოცდაათი პროცენტით შემცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რომლის თაობაზეც პრინციპში ისინი თანახმა იყვნენ. როგორც ცნობილია, ამ ხელშეკრულების დადებას ხელს უშლიდა მ. გორბაჩოვის დაუინებული მოთხოვნა, რომ ამ ხელშეკრულების წინაპირობად ამერიკის მთავრობას ხელი უნდა აეღო მის მიერ დაგეგმილი „სტრატეგიული თავდაცვის პროექტზე“. ჯერ კიდევ რეიკიავიკის მოლაპარაკების დამთავრებისას, პრესკონფერენციაზე, მ. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ: „**IDS** არის მთავარი დაბრკოლება ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ყოველგვარი მორიგებისათვის“.

წლევანდელ კრემლში უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების დროს, რომელიც, კერძოდ, მიმდინარეობდა გასული მაისის **29-30-31** რიცხვებში, მთავარი დისკუსიები ამ „მთავარი დაბრკოლების“ ირგვლივ მიმდინარეობდა. რადგანაც ე. წ. **START**-ის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას ადგილი არ ჰქონებია, ეს უჩვენებს, რომ ამ დაბრკოლების გადალახვა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ მოხერხდა. ამის თაობაზე, მოსკოვიდან დაბრუნებისას, გავლით ლონდონში შეჩერებულმა, პრეზიდენტმა რეიგანმა სხვათა შორის განაცხადა: „მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული **START**-ის ხელშეკრულებაზე და შეიძლება, რომ ის აწი მიღწეული იქნას“.

კრემლის შეხვედრიდან არაფერი სენსაციური არ გამოსულა არც ხელშეკრულების ხელმოწერით და არც ერთობლივი განცხადებით. ერთადერთი პოზიტიური შედეგი, ესაა ურთიერთ ნდობისა და პატი-



ვისცემის განმტკიცება. ისევ ლონდონში, პრეზ. რეიგანმა განაცხადა: ჩემი პირადი შთაბეჭდილებაა, რომ გორბაჩოვი სერიოზული ცდილობს რომელიც ეძებს სერიოზულ რეფორმებს“. ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯორჯ შულცმა, ბრიუსელში, ევროპულ მოკავშირეებს განუცხადა: „ურთიერთობა ჩვენ ორ ქვეყანას შორის, რომელიც ხასიათდება ურთიერთგაგების გაუმჯობესებით, გაცილებით უკეთესია ახლა, ვიდრე 1985 წ. ნოემბერში, როცა პირველ შეხვედრას ჰქონდა ადგილი პრეზ. რეიგანსა და გენ. მდივან გორბაჩოვს შორის“.

მართლაც, ამჟამად იგრძნობა, რომ ანტაგონისტური განწყობილება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის კერძოდ და საერთოდ კი აღმოსავლეთის და დასავლეთის სამხედრო ბლოკებს შორის, თუ არ შეწყდა, მნიშვნელოვნად შენედა და ის ადგილს უთმობს მშვიდობიან კონფრონტაციას (მეტოქეობა).

ატომ-ბირთვული სიკოცხლის მომსპობი იარაღი კვლავაც ჰკიდია კაცობრიობის სასთუმალთან, მაგრამ მისი ამოქმედების რისკი უსათუოდ შემცირდა. ასეთია რეიგან-გორბაჩოვის შეხვედრათა საბოლოო ანგარიში, რადგანაც ამჟამად ამერიკა შევიდა საპრეზიდენტო არჩევნების ხანაში და დიდი საერთაშორისო დიპლომატიური მანევრები მხოლოდ მომავალ წლიდან განახლდება, რომელშიც ყოველ შემთხვევაში ბანი რ. რეიგანი ერთ-ერთი მთავარი მომქმედი პირი აღარ იქნება.

გ. ლუბაშვილი

სსრკ კომპარტიის XIX კონფერენცია

ქართველი მწერლების წინადადებები

[საქ. მწერალთა კავშირის თავ – რის ბნ გიორგი ციციშვილის წერილს, რომელიც გაზ. „კომუნისტში“ (26.06.1988) გამოქვეყნდა, ჩვენ მკითხველებს ვთავაზობთ, არა იმ მოსაზრებით, რომ მას შეუძლია გავლენა მოახდინოს პარტკონფერენციაზე, რომლისადმიც ისაა განკუთვნილი, არამედ ავტორის და ჩვენი მწერლების გაცნობისა და ფიქრთა ღელვის უკედ გასაგებად. გუშაგი]

საბჭოთა საზოგადოებრიობა, ყველა მოძმე ერი და მათ შორის ქართველი ხალხი, სისხლხორცეული ინტერესითა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობის გრძნობით მოელიან უდიდესი მნიშვნელობის მოვ-

ლენას, რომელსაც უდაოდ ისტორიული მნიშვნელობა ექნება, რომელიც ნისტური პარტიის XIX კონფერენციას. მაღალი მოწოდებით, რომელიც უნდა დააკონკრეტოს საბრძოლო ამოცანები, გააშუქოს უაქტუალურესი პრობლემები, მეტი სინათლე და გარკვეულობა შეიტანოს თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების განვითარების თეორიასა და პრაქტიკაში, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი და ხვალინდელი დღისათვის.

ამჟამად, როცა პარტიისა და სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საქმეებში საბჭოთა მოქალაქეების მონაწილეობა, მათი სითამამე და უფლებები არაჩვეულებრივად გაიზარდა, როცა პიროვნებისა და მსახურის ინიციატივა, დემოკრატიზმისა და საჯაროობის წყალობით უმაგალითოდ ფართოვდება, როცა სულ უფრო ნათელი ხდება, რომ გარდაქმნის პროცესი შეუქცევად მნიშვნელობას იმკვიდრებს – ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხები იმედით, რწმენით, მღელვარე ინტერესით, საქმიანი წინადადებებითა და მოქალაქეობრივ-პატრიოტული სურვილებით ეგებებიან მაღალ პარტიულ თავყრილობას.

ბუნებრივია, რომ ქართველი მწერლებიც ასეთივე განცდებით, წადილით, სურვილებით არიან გამსჭვალული. სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ მწერლობას ყველაფერი გულწრფელად აინტერესებს, ყველაფერი გულთან ახლო მიაქვს, ყველაფერს გათავისებული თვალთ შეცქერის და ცდილობს ყველაფერზე თავისი აზრი შეიმუშაოს. ამაში გასაკვირი არაფერია, ეს – მწერლობის უქრობი წადილი და სასიცოცხლო ძარღვია. ტყუილად როდი ამბობენ, მსოფლიო მერიდიანი მწერლის გულზე გადისო.

ამიტომაც იყო, რომ ქართულმა მწერლობამ ნამდვილი საფუძვლიანობით, საგანგებო ჩაღრმავებულობითა და მოვლენათა არსში წვდომით განიხილა სკაკ ცენტრალური კომიტეტის თეზისები XIX პარტიული კონფერენციისათვის და გამოთქვა თავისი პრინციპული შენიშვნები, წინადადებები, სურვილები. ყოველივე ეს სრულიად აისახა იმ წერილში, რომელიც დემოკრატიული წესით მოამზადა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა და, როგორც ჩვენი შემოქმედებითი კავშირის მართვის უმაღლესმა ორგანომ, ქართველი მწერლების სახელით გაუგზავნა XIX პარტიულ კონფერენციას.

წინამდებარე წერილში მოკლედ, თეზისულად შევხებით ქართველ მწერალთა მიერ გამოთქმულ ზოგიერთ, შედარებით უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვან წინადადებასა და მოსაზრებას.

ქართული მწერლობა, ისევე როგორც სხვა ეროვნული მწერლობე-

ბი, ყოველთვის იყო მშობლიური ხალხის ოცნებათა და ზრახვათა მესაიდუმლე. დღევანდელ გლობალურად გართულებულ პირობებში მწერლობის მიერ ამ უმთავრესი მიზნის აღსრულება საოცრად გამძლეა და გართულდა. მაგრამ ქართული საბჭოთა მწერლობა მაინც ყოველ ღონეს ხმარობს (და არც თუ უშედეგოდ), რათა მარად იყოს ამ ძალადი მოწოდების ერთგული.

ბუნებრივია, რომ ეროვნული მწერლობისათვის ეროვნული პრობლემა ერთი უმთავრესი და სისხლხორცეულთაგანია. მით უფრო, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში სავალალო მოვლენებიც აღინიშნა. ეს გახლავთ შედეგი უახლოეს წარსულში დაშვებულ იმ დაუდევრობისა, შეცდომებისა, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის დარღვევებისა, — ჩვენი ცხოვრების უძირითადესი პრობლემებისადმი წაყრუების, მისი უგულვებელყოფის შედეგად რომ წარმოიშენენ.

არც ის არის გასაკვირი, თუ ეროვნული ურთიერთობის საკითხებისადმი ყურადღების მოდუნებამ, ზედმეტმა დაიმედებამ, ვითომც ეს პრობლემა უკვე მილიანად და სავსებით გადაწყვეტილი და მოწესრიგებულია, თავი იჩინა სახელმძღვანელო დოკუმენტებშიც. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფორმულირება, რომელიც მოცემულია სკკპ XXVII. ყრილობის მიერ 1986 წელს მიღებულ პარტიის პროგრამაში. პროგრამის ახალი რედაქციის მომზადებაზე მუშაობა, როგორც ცნობილია, 1985 წლის აპრილის პლენუმზე ბევრად ადრე დაიწყო, თუმცადა მასში აპრილის პლენუმის შემდეგ არაერთი არსებითი ცვლილება იქნა შეტანილი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი უზუსტობა პროგრამის ტექსტში მაინც დარჩა. მაგალითად, მესამე ქვეთავის მესამე პარაგრაფში ნათქვამია: „წარსულისაგან შემორჩენილი ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში წარმატებით გადაიჭრა“. ეს ფორმულირება შინაარსობრივად ვერ გამოხატავს საკითხის არსს. ჯერ ერთი, რას ნიშნავს „წარსულისაგან შემორჩენილი ეროვნული საკითხი?“ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ისეთნაირად არის „შემორჩენილი“, როგორც რომელიღაც სხვა დრომოქმული გადმონაშთი. მართალია, ეროვნული საკითხი ყოველთვის იდგა ყოველი ერისა და ეროვნების წინაშე, მაგრამ ეროვნული საკითხი „წარსულისაგან შემორჩენილად“ მაინც ვერ ჩაითვლება: იგი ყოველი ახალი დროის, ყოველი ახალი ეპოქის აუცილებელი თანამდევია პროცესისა, მარად ცოცხალი და მარად აქტუალური. მაგრამ მთავარი მაინც სხვაა: განა შეიძლება ეროვნული საკითხი ჩავთვალოთ „წარმატებით

გადაჭრილად“, სანამ არსებობენ ერები და ეროვნებები, ეროვნული კულტურები და ეროვნული ენები და, მაშასადამე, ერთაშორისი ურთიერთობაც თავისი არამარტივი დიალექტიკითა და ეფემერული თუ პერმანენტული სირთულეებით? ამდენად, ერთაშორისი ურთიერთობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები ახლაც და შორეულ მომავალშიც ცოცხალი პროცესი იქნება. ამიტომ ეროვნული საკითხი ისეთივე ამოუწურავი და „უკვდავია“, როგორც სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ან კულტურული პრობლემები, რომელთა გარეშე საზოგადოებების ცხოვრება წარმოუდგენელია.

პარტიის პროგრამის ამ დებულებების დაზუსტების საჭიროებით, ისევე როგორც კონსტიტუციის ზოგიერთი პარაგრაფის სრულყოფის აუცილებლობით არის გამოწვეული ის წინადადება, რომლითაც ქართველმა მწერლებმა მიმართეს XIX პარტკონფერენციას, რათა შეტანილ იქნას საჭირო კორექტივები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისეთ ფუძემდებლურ ქარტიებში, როგორიცაა სკკპ პროგრამა და ამჟამად მოქმედი საბჭოთა კონსტიტუცია, რათა უფრო მტკიცედ დაკანონდეს მიმდინარე რევოლუციური გარდაქმნებით მიღწეული თუ მისაღწევი შედეგები.

ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნის ქართველმა მწერლებმა მხარდაჭერა თეზისების იმ დებულებისა, რომელიც ეხება ჩვენი სოციალისტური ქვეყნის – საბჭოთა კავშირის – როგორც თანაბარუფლებიანი სუვერენული რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფოებრივი სრულყოფის საკითხს, მისი ჭეშმარიტად დემოკრატიულ, უაღრესად ჰუმანურ და სრულიად სამართლებრივ სახელმწიფოდ ქცევისა. აუცილებელია, რათა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი უფრო სრულად და თანმიმდევრულად გამოხატავდეს თითოეული რესპუბლიკის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და ეროვნულ ინტერესებს.

ხალხთა და რესპუბლიკათა თანასწორუფლებიანობისათვის სრულიად უცხოა სტალინიზმის დროინდელი დაყოფა ხალხებისა „დიდ და პატარა“ ერებად“. უფრო თამამად უნდა წარიმართოს საბჭოთა სახელმწიფოს მმართველი აპარატის პროგრესულ-რევოლუციური სულისკვეთებით სრულყოფა, რაც მთელი საბჭოთა ხალხის ერთი უარსებითი ამოცანაა.

ქართველი მწერლები საჭიროდ სთვლიან კიდევ ერთხელ გაუსვან ხაზი ეროვნული ენის უდიდეს მნიშვნელობას ერისათვის და იმ როლს, რომელსაც იგი უნდა ასრულებდეს სუვერენული რესპუბლიკის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. მიმართვაში რომ ყოველი რესპუბლიკის სუვერენიტეტისათვის ყოველად აუცილებელია კონსტიტუციით აღიარებული რესპუბლიკის სახელმწიფო ენის (ხოლო იქ, სადაც არ არის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა, რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობის ენის) რეალური და შეუზღუდავი ფუნქციონირება, და მამსასადამე ყველა სასწავლებელში სახელმწიფო ეროვნული ენის სათანადო სწავლება, საქმისწარმოების ძირითადად ამ ენაზე წარმოება და ყველა სხვა სფეროში მისი გამოყენება. ამასთან აღინიშნა, რომ აუცილებლად საჭიროა რუსული ენის სწავლების ამღლება და მკვეთრად გაუმჯობესებაც, როგორც საბჭოთა სახელმწიფოში ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ენა, საბჭოთა ხალხების ძმობისა და ერთობის ენისა. აღინიშნა ორენიანობის ხელოვნურობა და ზედმეტობა. ორენიანობა (ბილინგვიზმი) სულ სხვა რამეა, ხოლო ორი სხვადასხვა ენის ცოდნა კი, სხვა. ორენიანობა უპირატესად ესმით როგორც ორი მშობლიური ენის არსებობა (ფუნქციონირება), რაც არაბუნებრივი და შეუძლებელია, რამდენადაც მშობლიური ენა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს და ადამიანს მხოლოდ ერთი მშობლიური ენა გააჩნია, რომელზედაც იგი აზროვნებს. ე. ი. ამ შემთხვევაში, ენა სააზროვნო სისტემაა. რაც შეეხება მეორე (ზოგჯერ რამდენიმე) ენის ფლობას, ეს სულ სხვა ამბავია: ამ შემთხვევაში ენა სააზროვნო კი არა, არსებითად კომუნიკაციური საშუალებაა. ორი (ან მეტი) ენის ცოდნა მისასალმებელიცაა. ტყუილად კი არ ამბობს ქართული ანდაზა: „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო“. ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში ყოველ ერს აქვს თავისი მშობლიური ენა. იმავე დროს იგი უნდა ფლობდეს მეორე ენასაც, რუსულ ენას, ანუ ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ენას, რომელიც დღეს საერთაშორისო (მსოფლიო) ენადაა აღიარებული. ამიტომ რუსული ენის სწავლა რესპუბლიკებში ყოველად აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ.

ქართველ მწერალთა აზრით, რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ნამდვილ საფუძვლად, მის ქმედით სტიმულად და სულიერ განვითარების გარანტიად უნდა იქცეს რესპუბლიკის გადასვლა სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე. ამას გულისხმობს და მისკენ გვიბიძგებს გარდაქმნის დიდებული პრინციპები, კერძოდ, უმნიშვნელოვანესი დებულება დეცენტრალიზაციის შესახებ, რომელიც თეზისების ერთი უარსებითეის მხარეა.

გ. ციციშვილი: ქართველი მწერლების წინადადებები

მწერლები მხარს უჭერენ თეზისების ერთ უაღრესად საყოველთაო დებულებასაც — უწყებრიობის შეკვეცის, მისი თანდათან გაუქმების შესახებ. უწყებრიობა რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ხშირზე-ხშირად შემბოკავ სისტემად გადაიქცა. ზოგჯერ საკავშირო სამინისტროები და უწყებები ისე გვემავენ და აშენებენ თავიანთ საწარმოებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომ ყოველმხრივ არ ითვალისწინებენ ამ რესპუბლიკისა და მისი ძირითადი მოსახლეობის ინტერესებს (დემოგრაფიულს, ეკოლოგიურს და სხ.), ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ფაქტორს, მიგრაციის პრობლემას. გავიხსენოთ, როგორ დაიწყო ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ შავი მეტალურგიის საკავშირო სამინისტრომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა თბილისში (ნავთლულში) და ააშენა კიდევ რამდენიმე კორპუსი, წარმოვიდგინოთ, რა დღე დაადგებოდა ჩვენს დედაქალაქს ეს წამოწყება რომ ბოლომდე განხორციელებულიყო?

მიმართვაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკათა სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე მთლიანად გადასვლამდე, ამთავითვე უნდა შეიზღუდოს საკავშირო სამინისტროების უფლებები: მათ არ უნდა ჰქონდეთ ნება რესპუბლიკის წარმოების შემცირების, გაზრდისა ან შეცვლისა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეუთანხმებლად. რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს უფლება უარყოს რომელიმე უწყების ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ემუქრება რესპუბლიკის კეთილდღეობას სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული თუ ეკოლოგიური თვალსაზრისით. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დემოგრაფიული ვითარება ერისა, რომლის სახელსაც ატარებს რესპუბლიკა. აუცილებელია ზრუნვა იმ ერის გასამრავლებლად, რომელსაც ისტორიულად ეკუთვნის რესპუბლიკა და რომელიც რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ერებთან შედარებით კლების ტენდენციას ამჟღავნებს. რესპუბლიკას უნდა მიეცეს უფლება არეგულიროს თავის ტერიტორიაზე მიგრაციის საკითხები.

ქართველმა მწერლებმა აღძრეს საკითხი ზოგიერთი საკავშირო სამინისტროსა და უწყების ფუნქციების შეკვეცის შემდგომ მათი თანდათანობითი გაუქმების შესახებ. პირველ რიგში — ისეთი სამინისტროებისა, რომელნიც განათლებისა და კულტურის დარგებს განაგებენ. უნდა გაძლიერდეს მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლობა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში.

მწერალთა ერთობლივი აზრით, აუცილებელია, რათა რესპუბლიკა

უფრო აქტიურად იყენებდეს უფლებას საკავშირო კანონების რეესპუბლიკის სპეციფიკის მიხედვით მოდიფიკაციისა, რათა რეესპუბლიკის კანონები, რომელნიც საკავშირო კანონმდებლობის ზოგად პრინციპებზეა აგებული, უფრო ფართოდ ითვალისწინებდნენ ეროვნულ და ადგილობრივ თავისებურებებს. ამავდროს აუცილებელია, როგორც საკავშირო, ისე რეესპუბლიკურ კანონმდებლობაში არსებობდეს მუხლი ეროვნული ღირსების დასაცავად.

აღინიშნა, რომ სუვერენულ რეესპუბლიკას უნდა ჰქონდეს სრული უფლება დაამყაროს უშუალო ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან, დამოუკიდებლად მონაწილეობდეს ყველა სახისა და ღონის კულტურულ ღონისძიებებში და წამოაყენოს თავისი კანდიდატურა საერთაშორისო ღონისძიებების ჩამტარებელ ქვეყნად.

მწერლები საჭიროდ მიიჩნევენ განხილულ იქნეს საკითხი რეესპუბლიკის მოქალაქის სტატუსის, მის კონსტიტუციურად დაკანონებისა და კანონმდებლურად ზუსტი განსაზღვრების შესახებ.

პარტკონფერენციისადმი მიმართვაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის დემოკრატიზაციის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს რეფერენდუმი. საჭიროა ამ ღონისძიებისათვის მოქალაქეობის მინიჭება და მისი პრაქტიკაში გამოყენება.

მწერლები მხარს უჭერენ პარტიული და სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციების გამიჯვნას. პარტია უნდა ახორციელებდეს მხოლოდ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ხელმძღვანელობას, განსაზღვრამდეს საგარეო და საშინაო პოლიტიკას. ყველა არჩევით ორგანოსა და თანამდებობაზე არჩევა უნდა განისაზღვროს ორი ვადით. გამონაკლისი არ უნდა იქნეს დამკვეთი. დეპუტატი უნდა შეირჩეს მხოლოდ მისი საზოგადოებრივი ავტორიტეტის მიხედვით, მისი კანდიდატად წამოყენება სოფლის, რაიონის, ქალაქის, ოლქის, მხარის პრეროგატივაა.

კონფერენციისადმი მწერალთა მიმართვა შეიცავს სხვა ბუნქტებსაც, რომლებიც შეეხება, მაგალითად, წევვამდებლის მიერ სამხედრო ვალდებულების (სამსახურის) მოხდის საკითხს. უნდა აღიკვეთოს სტუდენტების სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პრაქტიკა უმადლეს სასწავლებლების დამთავრებამდე; რომ აუცილებელია რეესპუბლიკის ტერიტორიიდან სხვადასხვა დროს გატანილი კულტურულ-ისტორიული ფასეულობის და საარქივო მასალების რეესპუბლიკაში დაბრუნება; რომ საჭიროა შეუნელებელი ზრუნვა და ქმედითი ზომების მიღება ერის გასამრავლებლად, რაც არავითარ შემთხვევა-



ში არ შეიძლება გაიგივდეს ნაციონალისტურ სწრაფვასთან საჭიროა გადაწყდეს საერთო საკავშირო საგამომცემლო, საზოგადოებრივ, მასობრივ ორგანიზაციებში რესპუბლიკის პარტიტული წარმომადგენლობის შესახებ და ზოგიერთი სხვაც.

მწერალთა მიმართვას ხელს აწერს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი, რომელმაც შეიმუშავა XIX პარტკონფერენციისადმი გაგზავნილი მიმართვის ტექსტი. მიმართვის დასასრულს ნათქვამია: „ქართველი მწერლები გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ სკკპ XIX პარტიულ კონფერენციას ძალუძს მიიყვანოს საბჭოთა ხალხი, ყველა რესპუბლიკა, ერი და ეროვნება დასახულ მიზნამდე – სამართლიანი, დემოკრატიული, ჰუმანური საზოგადოების აშენებამდე. იმედით შეეგუებოდათ თქვენს მუშაობას, თქვენს პრინციპულობას და თავდადებას, ძვირფასო ამხანაგო დელეგატებო, გისურვებთ დიდ წარმატებებს“.

სასიამოვნოა, რომ მწერალთა პრეზიდიუმის მიმართვის ტექსტი გაიზიარეს ჩვენი რესპუბლიკიდან XIX პარტკონფერენციაზე წარგზავნილმა დელეგატებმა და მწერალთა დებულებების უმრავლესობა უკვე შეტანილია დელეგატთა მიერ შეიმუშავებულ საპლატფორმო წერილში.

გიორგი ციციშვილი,

სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, საქართ. მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

XIX პარტკონფერენციის შედეგები

განგებ მთლიანად გადმოვბეჭდეთ „კომუნისტიდან“ ბ-ნ გიორგი ციციშვილის ეს საკმაოდ გრძელი წერილი, თუმცა მისი მოზრდილი შესავალი ნაწილი წარმოადგენს საბჭოთა რეჟიმში ათეული წლებით მიღებულ და დამკვიდრებული მომენტის პოლიტიკის აპოლოგიას, ხელისუფალთა წინაშე მლიქვნელობას და ბოდიშის მოხდას, რომელსაც ორგანიული კავშირი არ აქვს მასალის მთავარ შინაარსთან. შინაარსი კი ადასტურებს, რომ საბჭოთა საზოგადოებას საერთოდ და საქართველოსას კერძოდ სერიოზული, მეტიც, შემაშფოთებელი სატკივრები გასჩენია, რომელთა მკურნალობის გადადება აღარ შეიძლება და, რომ ამ საქმეში დიდ იმედს ამყარებენ კომპარტიის ამ საკავშირო კონფერენციაზე.



ახლა, როცა კონფერენცია დამთავრებულია და მის მიერ მიღებული რეზოლუციები გამოცხადებული, შეიძლება დაბეჯითებულად ვთქვათ, რომ მან ვერავითარი ნოვატორიზა ვერ გამოამქლავა პარტიულ იდეებსა და საქმიანობაში. მან იმედი გაუტრუა იმათ, რომლებიც მასზე დიდ იმედებს ამყარებდენ, მან გააქარწყლა ბ-ნ გიორგი ციციშვილისა და მისთანათა „ღრმა რწმენა, რომ მას ძალუძს მიიყვანოს საბჭოთა ხალხი, ყველა რესპუბლიკა, ერი და ეროვნება დასახულ მიზნამდე – სამართლიანი, დემოკრატიული, ჰუმანური საზოგადოების აშენებამდე“.

უძრავობის ტიპური მაგალითია რეზოლუციის იმ თავის პირველი მუხლი, რომელიც ეხება ეროვნულ ურთიერთობას. ის ასეა ფორმულირებული: „ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა საბჭოთა სოციალისტურმა სახელმწიფომ ხორცი შეასხა თანასწორუფლებიანი ხალხების მრავალეროვანი ოჯახის რევოლუციურ ნებასა და მისწრაფებებს. მათი ისტორიული ბედის ერთიანობა ინტერნაციონალური სოციალისტური ძმობის საფუძველია. მრავალი თაობის საბჭოთა ადამიანების გარჯის შედეგი გახდა რესპუბლიკების უნიკალური კავშირი. მის დროშაზე აღბეჭდილია სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ინტერნაციონალური ერთობა, ერთა თვითგამორკვევის, აღორძინებისა და ეროვნულ კულტურათა განვითარების უფლება, წინათ ჩამორჩენილი ეროვნული რეგიონების პროგრესის დაჩქარება, ეროვნებათშორისი შეუღლის დაძლევა. ჩამოყალიბდა მთლიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი – სსრ კავშირის ხალხთა ერთობის მატერიალური საფუძველი. განუზომლად გაიზარდა ყველა რესპუბლიკისა და ავტონომიის ეკონომიკური, კულტურული და საკადრო პოტენციალი. რეალობად იქცა ახალი ისტორიული ერთიანობა – საბჭოთა ხალხი. ხდება ეროვნული თვითშეგნების კანონზომიერი ზრდა.“

მაშასადამე, თავდათავი სიყალბე საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა-ჩამოყალიბებისა, აქ უცვლელადაა გამეორებული და დადასტურებული. შემდეგ ნათქვამია, რომ ლენინურ წმინდა პრინციპებს ცოტა მდვილე წყალი შეერიო. პიროვნების კულტის დროს ადგილი ჰქონდა ზოგიერთ კანონიერების დარღვევებს და უკანასკნელ ათწლეულში იდეოლოგიისა და ფსიქოლოგიის უძრავობას, რამაც შექმნა ზოგიერთი დაბრკოლებები, მაგრამ ამას ყველაფერს მოაგვარებს გორბაჩოვის გარდაქმნის საჯაროობის და დემოკრატიზაციის პოლიტიკა. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ კონფერენციამ თავადაც არ იცის ამ სიტყვების ჭეშმარიტი არსი.

დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები ბევრს ლაპარაკობენ ამ კონფერენციაზე მ. გორბაჩოვის პირადი გამარჯვების შესახებ. ლაპარაკი ვინმეს გამარჯვებაზე შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს განსხვავებული პოლიტიკური პოზიციების შეტაკებას.

კონფერენციაზე (ყოველ შემთხვევაში ის, რაც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია) ამის მსგავსს ადგილი არ ჰქონებია და ვერც ექნებოდა, რადგანაც კონფერენცია ნაცადი ცენტრალიზაციის პრინციპით იყო ორგანიზებული, ზევიდან ქვევით, კრემლის კარნახით. კონფერენციის დელეგატებად არჩეული იყვნენ ცენტრალური კომიტეტის მიერ წინასწარ შერჩეული და კავების მიერ კარგად შემოწმებული სანდო და დამჯერი კომუნისტები. თეზისები უკვე საზოგადო განხილვის საგანი იყო და სავარაუდებელია, რომ რეზოლუციაც წინასწარ იყო მომზადებული. ხელისუფლების მესაიდუმლე ზოგიერთ დეპუტატს დავალებული ჰქონდა ვითომც გაბედული კრიტიკული გამოხსენება. ასეთი იყო მაგალითად კომის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. მელნიკოვი, რომლის გამოსვლამ მთვლემარე დარბაზი გამოაცოცხლა. მან განაცხადა: „...ის, ვინც უწინ აქტიურად ადგა უძრავობის პოლიტიკას, ახლა, გარდაქმნის პერიოდში, ცენტრალურ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ვერ იქნება და ვერ იმუშავებს. ყველაფრისთვის უნდა აგო პასუხი და თანაც აგო პერსონალურად“. გორბაჩოვი მას რეპლიკას აძლევს: „იქნებ შენ რაიმე კონკრეტული წინადადება გაქვს? თორემ ჩვენ ვსხედვართ და არ ვიცით: ეს მე მეხება თუ იმას“. მელნიკოვი: „მე ამას მივაკუთვნებდი ამხანაგ მ. ს. სოლომენცევს, უწინარესად, ამხანაგებს ა. ა. გრომიკოს, ვ. გ. აფანასიევს, გ. ა. არბატოვს და სხვებს.“ დარბაზში არავინ არ შერხეულა, არც თვით დაინტერესებული პირები. ცხადია: ამ მაღალ პარტიულ და საბჭოთა სანოვნიკებს წყალი აქვთ შემდგარი. ამისთანა ფაქტი თვით მეტყველებს კონფერენციის დემოკრატიულობაზე. ასეთ ფორუმს არ შეეძლო ყოფილიყო აზრთა და იდეათა ურთიერთ აშკარად შეტაკების ადგილად და, მამასადამე, არც ვინმეს და კერძოდ გორბაჩოვის გამარჯვებაზე შეიძლება ლაპარაკი.

კონფერენციამ მწყობრად ჩაიარა, ისე, როგორც ეს სურდათ გორბაჩოვსა და პოლიტბიუროს უმრავლესობას. მის შედეგებზე შეიძლება გავიმეოროთ ფრანგული ანდაზა: „მთამ დაბადა თავუნაო“. ის საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერთა ბედს ვერ შეცვლის. ეს ბედი მათ შეუპოვარი ბრძოლით უნდა გამოსჭედონ და ესაა ამ კონფერენციის გაკვეთილი.



მთიანი ყარაბაღის პრობლემა
და სომეხ-აზერბაიჯანელთა ანტაგონიზმი

ქართული
ლიტერატორთა
კავშირი

როგორც გუშაგის უკანასკნელ ნომერშიც ვიტყობინებოდით, მიმდინარე წლის თებერვალში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში მოხდა გააფრებული სისხლისმღვრელი შეტაკებები სომეხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, ხოლო სომხეთის დედაქალაქ ერევანში ასობით ათასი მანიფესტანტი მოითხოვდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მყოფ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სომხეთთან შეერთებას, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა სომხობაა. ოფიციალური ცნობებით, ამ ტრალიკულ ამბებს შეეწირა სულ ცოტა ოთხი ათეული სიცოცხლე, მძიმედ დაიჭრა და დაშავდა რამდენიმე ასეული ადამიანი, უმეტესად სომხები. ხელისუფლებას დასჭირდა დიდი სამხედრო ძალების შეყვანა მღელვარების რაიონებში, რათა გააფთრებული ბრბოები გაეშველებია.

როგორც უფრო გვიან გამოირკვა, ეს სისხლიანი ამბები დაიწყო მას შემდეგ, რაც გასულ ოც თებერვალს, ყარაბაღის ავტონომიური ოლქის დეპუტატთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიმართოს, ერთი მხრით აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების დეპუტატთა საბჭოებს და მეორე მხრით სსრკ სახალხო დეპუტატთა უმაღლეს საბჭოს, რათა მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქი ჩამოშორდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკას და შეუერთდეს სომხეთს.

მას შემდეგ გაფიცვები არ წყდება მთიან ყარაბაღში, მასიური მანიფესტაციები განსაკუთრებით ერევანში. დღემდე საბჭოთა მთავრობამ ვერ შეძლო ვერც მშვიდობის ჩამოგდება და, მით უმეტეს, ვერც სადავო საკითხის გადაჭრა. პირველ დღეებში ის თითქოს მხარს უჭერდა სომხების მოთხოვნას, მაგრამ საბოლოოდ აზერბაიჯანის და, მაშასადამე, სტატუს-ქვოს სასარგებლოდ გადაიხარა.

უდავოა, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემა ადვილი გადასაწყვეტი არ არის, მისი მიუყუთვნება მხოლოდ ეთნიური უმრავლესობის მიხედვით შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუწყნარებელი და უღღეური ხელისუფლების მიერ თვითნებურად ნაკარნახევი გადაწყვეტილება. სწორედ ასე მოიქცა კავკასიაში გამარჯვებული საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება. იგი უარყოფდა ეროვნულ ინტერესებს და თვითნებურად წყვეტდა ისეთი უძველესი ერების სახელმწიფო საზღვრებს, როგორც საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანია. ყარაბაღიც მა-

ფოსა და ხალხის ღალატის ბრალდებით და დახვრიტეს, საბჭოთა კავშირის უმაღლესმა სასამართლომ მოხსნა წაყენებული ბრალდებები „ისინი უდანაშაულო არიან საბჭოთა კანონიერების, ხალხისა და სახელმწიფოს მიმართ“. მათი უდანაშაულობა დიდი ხანია, რაც იცოდა თავისუფალმა სამყარომ და ისიც, რომ საბჭოთა სამართალი კუს ნაბიჯებით დაბობდავს.

ამრიგად, ნახევარი საუკუნის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ღალატის ჩირქი მოხოცა სტალინის მიერ სამარცხვინოდ დახვრეტილ თითქმის ყველა მხედარმთავარსა და ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილ ლიდერებს, გარდა ლევ ტროცკისა. ესაა დღევანდელი საბჭოთა ხელისუფლების განაჩენი, ხოლო თუ რა განაჩენს გამოუტანს მათ საბოლოოდ რუსი ხალხის ისტორია, ამაზე აქ მკითხაობას ნუ დავიწყებთ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აწი არც საქართველოს კომპარტია დაავიანებს სტალინ-ბერიას მიერ ოცდაათიან წლებში დახვრეტილ ძველ ბოლშევიკებს, პირველ რიგში კი, ე. წ. უკლონისტებს ახსნის ბრალდებას და როგორც სჩვევიათ, „რეგოლუციის რაინდებად გამოაცხადებს. ეს იქნება ლოდიკური მათ მხრივ.

მაგრამ მწამს, რომ განსხვავებული იქნება უკვდავი საქართველოსა და ქართველი ხალხის ისტორიის განაჩენი. სამშობლოს მოღალატეთა ხვედრია, მათივე ბოროტანამზრახველთა ხელით სიკვდილი. სწორედ ეს არგუნა მათ განგებამ.

გ. წერეთელი

თ. გუდავას სიტყვა თეთრ სახლში

[დღიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მისვლისა ძმები გუდავები ენერგიულად მოღვაწეობენ და მნიშვნელოვან აღიარებასაც მიიღწიეს, რადგანაც სენატის შემდეგ, 17 მაისს, სულ რამდენიმე დღით ადრე პრეზ. რეიგანის მოსკოვში გამგზავრებამდე, თენგიზი თეთრ სახლში მიიწვიეს პრეზიდენტთან ერთად „მრგვალ მაგიდასთან“ საუბარში. თ. გუდავასთან ერთად საუბარში მონაწილეობას ლებულობდენ ისეთი გამოჩენილი სამართალდამცველები, როგორებიცაა: იური ორლოვი, ირინა რატუშინსკაია, ვასილ აქსიონოვი და იური იარიმ-აგაევი. საუბარს ესწრებოდა აგრეთვე ამერიკის ხუთი სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. რედაქცია]



თენგიზ გუდავა:

პატივცემულო პრეზიდენტო! ვაცხადებ რა, რომ ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლა განუყოფელია ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლისაგან, ამით გამოვთქვამ თავისუფლებისათვის ბევრი მებრძოლის აზრს. ვერცერთი პიროვნება ვერ იქნება თავისუფალი იმ დროს, როცა მთელი ერი დამონებულია.

ჩვენ არ დაგვიწყნია, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ეროვნულ რესპუბლიკათა შეყვანა უკანონო და ანტიდემოკრატიული იყო. ეს შეყვანა მიღწეული იყო წითელი არმიის მიერ განხორციელებული ანექსიისა და გადატრიალებების გზით, ე. წ. „საერთაშორისო ბოლშევიკური ჯგუფების“ მიერ მოხდენილი სისხლის სამართლის დანაშაულობებით, - ჯგუფებისა, რომლებსაც არავითარი უფლება არ ჰქონდათ, წარმოედგინათ ხალხის ინტერესები.

გასაბჭოებიდან დღემდე საბჭოთა კავშირის ერები მოკლებულნი არიან თვითგამორკვევისა და საკუთარი ნება-სურვილის გამოთქმის უფლებას; ისინი მოკლებულნი არიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მსოფლიოს ყველა ხალხებისათვის აღიარებულ უფლებებს. საბჭოთა კავშირის დამონებული ერები რუსიფიკაციას განიცდიან. ითრგუნება მათი ეროვნული ენები, კულტურა, ისტორია და რელიგია. ეს ერები განიცდიან ასევე დემოგრაფიულ და ეკოლოგიურ გენოციდს.

საბჭ. კავშირის ერებს დღემდე არ აქვთ დემოკრატიული უფლება იმისა, რომ დამოუკიდებლად გადაჭრან თავიანთი პრობლემები, მათ შორის საკითხი საბჭოთა კავშირიდან სუვერენული გამოყოფისა და დამოუკიდებლობისა, რაც ფორმალურად გარანტირებულია საბჭოთა კონსტიტუციით.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს საბჭ. ხელისუფალნი გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ სამოქალაქო და პოლიტიკურ სფეროში, არ შეინიშნება რაიმე პოზიტიური ცვლილებები ეროვნულ უფლებათა დარგში. ეს პრობლემა დღესაც მეტად საჭირობოროტო და გადაუდებელია საბჭოთა კავშირში.

რაც შეეხება გარდაქმნას, მსურს აღვნიშნო, რომ ის ჯერ არ შეხებათ სხვადასხვა ერებს შორის ურთიერთობას და ამის უგულვებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს იმის მსგავსი ტრაგედიები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინად მოხდა მთიანი ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით.

ჩვენ მოწმენი ვართ საბჭოთა რესპუბლიკებში ეროვნული მნიშვნელობის გამოღვიძებისა. ეს ბუნებრივი და ჯანსაღი პროცესია. საბჭო-საქართველოს ერებს სურთ ჭეშმარიტი დემოკრატია, თავისუფლება და პროგრესი.

საბჭ. ხელისუფალნი მიმართავენ ზოგიერთ ძველ, სტალინისტურ მეთოდებს ამ მისწრაფებათა დასათრგუნავად. მათ გააძლიერეს ეროვნული მოძრაობის აქტივისტთა დევნა. ამ ცოტა ხნის წინად დაპატიმრეს თავისუფლებისათვის ცნობილი სომეხი მეზრძოლი პარტიზ აირიკიანი. იგი ამჟამად კავებეს ციხეშია მოთავსებული ერევანში. ეს წარმოადგენს პოლიტიკური მოტივებით პირველი დაპატიმრების ფაქტს უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში, რაც დამადასტურებელია იმისა, რომ საბჭ. ხელისუფალთა მიერ ამგვარ რეპრესიებზე გამოცხადებული მორატორიუმი აშკარად გაუქმებულია.

ბატონო პრეზიდენტო! გულითადად ვთხოვთ, პროტესტი გამოუთქვათ საბჭ. კავშირის კომპარტიის ც. კ. გენერალურ მდივანს მიხეილ გორბაჩოვს პარტიზ აირიკიანის დაპატიმრების გამო და მოითხოვოთ მისი დაუყოვნებელი განთავისუფლება. უმორჩილესად ვთხოვთ, ამ ვიზიტის დროს საბჭ. კავშირში, ეროვნული უფლებების პრობლემის განხილვას, რითაც თქვენ მოახდენთ საბჭ. კავშირში მზარდი ეროვნული მოძრაობებისადმი თქვენი მხარდაჭერის დემონსტრირებას. ეს დემოკრატიისა და სამართლიანობისაკენ მიმართულ მოძრაობებს წარმოადგენს და ამდენად მათ ესაჭიროებათ ამგვარი მხარდაჭერა.

17 მაისი 1988. თეთრი სახლი

თენგიზ გულავა

ქ ა რ თ უ ლ ი თ ვ ი თ გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი

ამ უკანასკნელ დღეებში მივიღეთ მნიშვნელოვანი თვითგამოცემის ლიტერატურა. პირველი ნაწილი შესდგება ცალკეული სტატიებისაგან, რომელთაგან ხაზგასმით აღსანიშნავია: გ. თვალევის „აჭარელნი ლტოლვილნი“, რომელიც გვამცნობს, რომ ადგილობრივ უმწეო მდგომარეობის გამო აჭარლები საცხოვრებლად იხიზნებიან კრასნოდარის მხარეში და თვით შიდა რუსეთშიც, სადაც მათ უკეთეს პირობებს სთავაზობენ; შემდეგ მოსდევს ზვიად გამსახურდიას „ღია წერილი გაზ. „კომუნისტს“, რომელშიც ავტორი საკადრის პასუხს სცემს ამ გაზეთში გამოქვეყნებულ მის საწინააღმდეგო ცილისწამებებს. ამ

საინტერესო ვრცელი წერილიდან, ჩვენს მკითხველებს აქვე შევძლებ ვთავაზობთ ერთ თავს, სათაურით: „მონანიება“. შემდეგ მოდის ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას „ღია წერილები ჭაბუა ამირეჯიბისადმი“, რომლებშიც დაგმობილია ამ უკანასკნელის გამოსვლა გაზ. „კომუნისტის“ ფურცლებზე ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის სასარგებლოდ; და სხვა.

ჩვენს ხელთაა აგრათვე ჟურნალ „მატიანე“-ს 1 და 2 ნომრები, პირველი რუსულ ენაზე, მეორე ქართულად, პირველი მთლიანად მიძღვნილია ტრანსკავკასიის რკინიგზის საკითხებისადმი, ხოლო მეორე კი – ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებული სტატიებისადმი, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, საქ. სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივის დირექტორის ვახტანგ გურგენიძის ვრცელი ნაშრომი: „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა საარქივო დოკუმენტების მიხედვით“.

„მატიანეს“ ამ ნომერს წინ უძღვის მოკლე და სხარტი წინათქმა, გნებავთ, განცხადება:

„ქართველ პატრიოტ მოღვაწეთა მიმართ ტერორს მიმართავდნენ სოციალ-დემოკრატები, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა, ვინაიდან მიელტვოდნენ „რუსეთის პროლეტარიატთან შერწყმას“, ეს მოღვაწენი კი ხელის შემშლელებად მიაჩნდათ ამგვარი შერწყმის გზაზე. პატარა ერთა გამოყოფა, სოციალ-დემოკრატების აზრით, დაასუსტებდა პროლეტარიატის ბრძოლას, პროლეტარიატის გამარჯვება კი თვითგამორკვევასაც მოიტანდა. ამიტომ ყველა ის, ვინც ეროვნულ თვითგამორკვევაზე ხმას ამოიღებდა, ამ პარტიის მტრად ითვლებოდა.“

ქვემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტები გვაძლევენ ნამდვილ სურათს ილია ჭავჭავაძის მკვლელობისას. დადგა დრო, რომ მთელმა ერმა გაიგოს, თუ ვინ იყვნენ ილიას მკვლელნი.

თუ ოფიციალობას სურს ნამდვილი დაფასება ილიას ხსოვნისა, მან ხალხს უნდა უთხრას სრული სიმართლე საუკუნის ამ დანაშაულის შესახებ და მთაწმინდის პანთეონს განაჩინოს ილის მკვლელის გვამი. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად!“



მონანიება

გარდაქმნისა და საჯაროობის ქურქში გახვეული ბრენეგ-ანდროპოველი ჩემს მონანიებას „ბატკნის ქურქში გახვევას“ უწოდებს.

რა იყო ეს მონანიება, რამ გამოიწვია იგი, რა შედეგები მოიტანა – აი, კითხვები, რომელიც ბევრს აწუხებს და რომლებთან დაკავშირებითაც ამდენი დეზინფორმაცია ვრცელდება სპეციალურად ინსტრუქტირებული აპარატისა და მის მიერ დამუშავებული პირების მიერ. საქმე ის გახლავთ, რომ წარსულში, ჩემი ეროვნული და სამართალდაცვითი საქმიანობის პარალელურად მე დიდი რაოდენობით გამრავლებდი ისეთ ლიტერატურას და მასალებს (უმთავრესად ემიგრანტულს), რომელიც კოდექსის მიხედვით დაკვალიფიცირებულია როგორც „ანტისაბჭოური“. თუმცა მე ვთვლიდი, რომ რახან სსრ კავშირმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, ჰელსინკის ხელშეკრულებას და სხვა პაქტებს, სადაც გარანტირებულია ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება, ამგვარი ლიტერატურის გავრცელება აღარ უნდა ჩათვლილიყო დანაშაულად. მაგრამ რამდენადაც იმ ხანად არსებობდა მძაფრი წინააღმდეგობა ქვეყნის შიდა იურიდიულ პრაქტიკასა და სსრკ-ს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს შორის, ამგვარი ლიტერატურის გავრცელება, როგორც არ უნდა ყოფილიყო განზრახვა მისი გავრცელებისა, დანაშაულად ითვლებოდა და მკაცრად ისჯებოდა, რაც დაგმო მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა და რის გადახედვასაც აპირებს სსრკ დღევანდელი ხელმძღვანელობა.

მე დავინახე, რომ ამ სიტუაციისათვის ანგარიშის გაუწევლობა არ შეიძლებოდა. ეს ზიანს მოუტანდა ჩვენს ეროვნულ და სამართალდაცვით საქმიანობას, საერთო საქმეს, ჩვენს ერს; ამის გამო გადაწყვიტე შემეცვალა კურსი და პოზიცია, გამეწია ანგარიში არსებული კანონისათვის, რომელიც უფრო მაღლა დააყენეს, ვიდრე ჰელსინკის ხელშეკრულება, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი, მით უმეტეს, რომ მე საბჭო. მოქალაქეობაზე უარის თქმას არ ვაპირებდი, გადაწყვეტილი მქონდა მეცხოვრა ჩემს ქვეყანაში, საქართველოში, გამეზიარებინა ჩემი ერის ჭირ-ვარამი. უშიშროების კომიტეტი კი არაორაზროვნად მიმანიშნებდა, რომ მე მომიხდებოდა ადრე თუ გვიან საქართველოს დატოვება და ემიგრაცია, მოუნანიებლობის შემთხვევაში. ამის გამო ვცანი დანაშაულად გამრავლება და გავრცელება

ზ. გამსახურდია: მონანიება

ზემოხსენებული ლიტერატურისა და მასალებისა და მოვიხსენიებელი ყოველივე. ამით ხელი შევეუწყვე აგრეთვე მრავალ პოზიტიურ ცვლილებებს ჩვენი ერის ცხოვრებაში, ვინაიდან თავად ხელისუფლებაც წავიდა გარკვეულ კომპრომისებზე, რომელთაგან ერთერთი იყო ის, რომ გაუმჯობესდა ეკლესიის მდგომარეობა, დაიწყო ნაწილობრივი საეკლესიო ლიბერალიზაცია, განმტკიცდა ილია მეორის პოზიციები, რომელთან დაკავშირებითაც თქვენ ამდენ ჭორს აგრცელებთ იმავე გაზეთში. მრავალი ჩვენი მოთხოვნა შესრულდა სხვა სფეროებშიც, როგორც ამას აღნიშნავს მერაბ კოსტავა თავის განცხადებაში ჩემი მონანიების შესახებ, რომელიც, თქვენდა სავალალოდ მთელს მსოფლიოში გამოქვეყნდა. ის დიალოგი, რომელიც დღეს ხელისუფლებამ შესთავაზა ა. სახაროვს, ჯერ კიდევ იმჟამად შემომთავაზეს მე. ა. სახაროვი და მისი მიმდევრები ასეთ დიალოგს საქმის ღალატად არ თვლიან. არც მე ვთვლი ამას საქმის ღალატად იმ შემთხვევაში, თუ იგი გონივრულად და ფრთხილად იქნება წარმართული.

მოუნანიებლობა სჯობდა

თუმცა ცხადია, ჩვენი ერის მტრებისათვის სჯობდა, რომ არ მომენანიებინა საერთოდ, სჯობდა ჩემი და მ. კოსტავას უცხოეთში გაქცევა (ვინაიდან ციხეში ღიბხანს აღარავინ გააჩერებდა ნობელის პრემიაზე წარდგენილ პატიმრებს), საქართველოში ტოტალური ანარქიის გაბატონება, ეროვნული მოძრაობის მიტოვება გამოუცდელი ახალგაზრდების ანაბარად და ამით მისი მოსკობა. ამიტომაც სისინებენ დღეს ზოგიერთები: „სისუსტით მოინანია“, „კეთილდღეობისთვის მოინანია“. მათ ვერ მოუნელებიათ აგრეთვე ის, რომ მე ვიპოვე სწორი გზა ბრძოლისა, რომ ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ, ისევე როგორც სომხურმა, უკუაგლო ანტისოვიეტოზმი და დღეს კონსტიტუციური სამართლიანობის დროშით გამოდის, რაც განაპირობებს მის უძლეველობას. რა თქმა უნდა, მტრებისთვის სჯობდა ანტისოვიეტოზმი, მაშინ ხომ უფრო იოლად გაანადგურებდნენ ეროვნულ ძალებს რეპრესიებით! აი რატომ არის ჩემი მონანიება მათთვის უდიდესი ბოროტება! აი რად მისტირის წარსულს გაზეთი „კომუნისტი“, რად ცდილობს გამოხმობას წარსულის სავალალო ქიმერებისას, იმედს ამყარებს მათზე, ხავეს ეჭიდება და არას ამბობს აწმყოზე, ჩემს ამჟამინდელ საქმიანობაზე, რომელსაც იგი, ვაი რომ, ანტისაბჭოურს ვეღარ დაარქმევს. აი, რად არის ღარიბი „კომუნისტის“ ინფორმაცია ჩემს დღევანდელ დღეზე, აი, რად იგონებენ ჭორებს რომელიღ-

აც ძროხებზე, ლორებზე და მათ ქურდებზე, რომელთაც თურმე ვინ
ვიცავ, „ანტისაბჭოური“ ენით შეპყრობილი. მაშ შემოგვლათ
ფანელი? რას იზამთ, ამასაც უნდა შეეგუოთ ჩემო კარგებო!

1988 წ. 10 მარტი ზვიად გამსახურდია

კ ა რ ი III . . . ლ ე ქ ს ე ბ ი დ ა ს ხ ვ ა

ი რ ა კ ლ ი ს *)

არა, წუწუნნი აქ არ გაისმა,
რამეთუ ჰფლობდი სიღრმეს გაუმხელს,
თავი მოიკალ როგორც კლაისტმა,
ვერთერულ განცდებს ვედარ წაუხველ:
რად იწამლავდი ასე გუნებას,
კაეშანს გულში რატომ იხვევდი,
რად ვერ გაუძელ მწარე ცდუნებას,
ფაუსტობამდე რად ვერ მიხვედი?
მეტის გაბედვით და ვაჟკაცობით
სიცოცხლის ძარღვი რად გაიწყვიტე?
ისრები შხამში ამონაწობი
უკლებლივ რატომ ვერ აისხლიტე?
ვერც მოგეფერე, ვერც დაგტირე,
კირსა შიგან მყოფს ეს რა მიყავი,
იმ დაწყევლილ დღეს, მე სასიკვდილე,
ვაგლახ, შენს გვერდილ რომ არ ვიყავი.
ო, როგორ ვდარდობ, როგორ ვინადვლი,
აწ მომხდარს რომ ვერ გადაველობე.
კიდევ კარგი, რომ ჩემთვის, ირაკლი,
გარდაცვლილები არ არსებობენ,
და არც კვდებიან, და არც ჰქრებიან,
გარდიქმნებიან ღმრთივ საოცრებად,
რადგან ისინი მუდამ რჩებიან
ჩემთვის ცოცხლებზე უფრო ცოცხლებად.
გუმანით გრძნობდი, რომ ბედისწერას
მუდამ დაჰყვება ხმა გამგმირავი,



მაგრამ ღმერთს აბა ვინ გაუწირავს,
 რომ შენში ვბოვოთ გასაწირავი?!
 წამქეზებელი წყეული თესლის,
 მოძალადეთა მომრიგებელი,
 მუდამ შიშობდა, აღვსილი გესლით,
 წუთისოფელი შურისმგებელი,
 დამმკვიდრებელნი ქეშმარიტ გეზის,
 ნებით უდრეკით; შეურყეველით,
 რომ შევმტკიცდებით, ირაკლი, გესმის?
 როგორც გოდოლი აუღებელი
 და სულით ეგზომ უახლოესნი,
 გაგნთესა ისე, ვით შორებელნი.
 გათიშვით სურდა ჩვენი წვალება,
 კავშირი მძლავრი, რომ დაეშალა
 და არ მიეცა საშუალება,
 გულისნადები გადაგვეშალა.
 მას უკვდავების წყაროებითა
 არ სურდა მორწყვა დასიცხულ ზვრების,
 რომ უზენაეს საწყისებიდან
 ვიმკიდეთ თავთუხს საკრალურ ცნების;
 გადავეცდინეთ სურდა გეზიდან,
 მუხთალის ზრახვას ნუთუ ვერ ხვდები,
 გონება ისე გადამებინდა,
 ველარ ჩავშალე მტარვალის ცდები!
 შემოგვიტია, არ დაგვერიდა,
 ბალღამის ნთხევით და ნიშნის გებით,
 რა ავბედითად გადაგვეკიდა,
 რა უსაშველოდ მოგვაწვა რქებით,
 როდესაც შენი დაბადებიდან
 შეუზრალეზლად გაჰყარა გზები.
 მაგრამ გამორჩა მტარვალს ხედვიდან
 წმინდა კანონი შინაგან ძვრების,
 მამაშვილობა გვიჩნს ავბედითად,
 თუ სულიერი არ გავხდით ძმები.
 ამგვარი ხვედრი რად არ გვეტვირთა,
 აღვლესოთ გულნი, ვითარცა ხმლები,



რადგან სამკალი ასე გვემდიღრა,
 ისევე ჩვენ შეგვკრათ თავთუხის ძნები.
 თუმცა მე აქ ვარ, სოფლად შთენილი,
 შენ კი სულეთში, იქ, ზესთასოფლად
 ხარ რკინის ნებით გარდავლენილი.
 თავს ნუ ვიგულებთ, ირაკლი, ობლად,
 ტრფობანაჰარბი რადგან გულებით,
 სასუფეველი იიძულების,
 უღრეკ ზღუდეთა მარად დამძღვეი,
 ვყოთ სიყვარული ჩვენ გზად და ხიდად,
 და ბნელში ნათლით გეზის გამკვლევი,
 მეოხ გვექმნება განგება დიდად.
 ცხადად ერთუროს რომ არ მოველანდოთ
 და ურწმუნობას ავუგოთ წესი,
 ჩვენ უნდა შევხვდეთ ჩემს სიკვდილამდე,
 ვით ლაერტის ძე და აქილევის;
 რომ შევამტკიცოთ ორი სოფელი
 მზით ნათელღებულ შუალამეში,
 ჩვენ უნდა შევხვდეთ უცილობელად,
 როგორც ენქიდუ და გილგამეში.
 არცოდნა აღარ გვებატება
 იმის, თუ რაა გეზი ღმერთისკენ,
 ეს ურთიერთის არის ძიება,
 იგი გზა არის ურთიერთისკენ.
 ასე იკვრება მრავალი ერთით,
 მსგავსი რომლისაც არ გვეგულება,
 თუკი სამყაროს გულია ღმერთი,
 გზაა სიწრფელეც და ერთგულებაც,
 და ამიტომაც დაგემოძღვროს, ვვეღრით,
 უღირსთ გვაჩვენოს თვისი დიდება;
 თუკი სამყაროს აზრია ღმერთი,
 გზაა სიბრძნეც და ჭეშმარიტებაც;
 და თუკი ვინმეს ეს დაჰბედვია,
 ერთი აქვს სიტყვა, საქმე და ცნება,
 რადგანაც ღმერთი შემომქმედი,
 გზა არის საქმეც და წმინდა ნებაც.



მაშინ გაუვა ყავლი წამებას,
შეხვედრის წამი როს არ აგვცდება,
როს ჩვენს წიაღში ესე სამება
მძლე სიყვარულით გაერთარსდება
და, როცა ზღუდეს გავუმკლავდებით,
როგორც ანჭიზე და ენეოსი,
მიწას მოგწყვიტოთ მძლავრი მკლავებით,
ცაში დავახრჩოთ ჩვენ ანთეოსი;
აღსასრულებად თუნდ იყოს ძნელი,
ღმერთმა ხელი ნუ აგვადბინოს,
რომ საქმე, თითქმის შეუძლებელი,
ამ სიყვარულმა შეგვაძლებინოს.

სექტემბრის 29, 1985. ირკუტსკის ციხე.

მერაბ კოსტავა

*) მ. კოსტავას ეს ლექსი, რომელიც დაწერილია ერთადერთი ვა-
ჟაკაცი შვილის თვითმკვლელობის თავზარდამცემი ამბის გაგების
შთაბეჭდილებით, ბ-ნ თ. გუდავასგან მიიღო გამოსაქვეყნებლად ბ-ნმა
ლ. ფაღავამ. ვინაიდან მისი „ჩვენი ღროშა“ დაგვიანებით უნდა გა-
მოვიდეს, მან ის ჩვენ გადმოგვცა, რისთვისაც მას დიდ მადლობას
მოვახსენებთ. გუშავი.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ს

დიდი ხნიდან შენთვის დამაქვს ტრფობა გულს დათქმული
და, ამისთვის შემოგფიცე ძმური სიყვარული.

დღეს სხვა გრძნობა მე არ მათბობს, არც სხვა სიხარული,
შენ, ცისკარის ხატება ხარ, ქვეყნად ფერასხმული.

შენ ედემის წალკოტი ხარ და შევენების კერა,
ციურ ხმათა ტკბილ ჰანგების საიდუმლო მღერა.

ო, სულმნათო ქვეყნის ვარდო, ზღვა სიამით შლილო,
სათნოების ლურჯფერებით ღვთისგან გამოზრდილო.



შენ კრძალვა ხარ გრძნეულობის, მიწყვიტ მლოცველ და, ცისკრული ეშხის სხივით განთიადი სულთა.

შენ მშვიდობის მზის კერა ხარ, მისი გზა და ფონი, ქვეყნის სივრცით გატყორცნილი ღვთაებრივის ღონით.

მთას ეკვრება თუ ბარს ხარობს შენი კერის სიბრძნე, შენ შუქი ხარ მარადობის და უქრობი ცის ზნე.

ო, მეოხნე, ახლა, როცა ხელაპყრობით ცისკენ შენს წინაშე მე ვლოცულობ და გული მით მიძგერს,

მსურს მე ამ დროს, რომ ვემთხვიო შენს მიწას და ზეცას, და ვადიდო, ვინც შენს ცაზე უკვდავება თესა.

მსურს შენს ველებს, ზურმუხტ ქალებს, ზვრებს და წარბა კონცხებს, ყველას ერთად ველივლივო, როგორც ძველად ოცხებს.

მსურს შენს ტაძრებს, მისნურ კერებს ცისკენ აზიდულებს, შენი სულის, შენი გულის განუხრელ ერთგულებს,

მე მივუძღვნა ჩემი სულის საიდუმლო ტრფობა, როგორც სულში ანთებული ციურ გრძნობის ხმობა.

მსურს შენს ერთგულ გრძნეულ შვილებს ზეცით გამოზრდილებს მოწიწებით თაყვანი ვსცე, ვით შვენიების გზირებს.

ო, ნუ მკითხავ, თუ ვინა ვარ, ან რომელი მხრისა, გეტყვი მხოლოდ, რომ მე ვეტრფი, რაც კი არის ღვთისა.

ის ამაღლებს კაცთა შორის სამშვიდობო ზრახვებს და გზას უხსნის ერთობისკენ ყველა კეთილ გრძნობებს.

ანკი, რად ღირს ეს ცხოვრება, თუ რომ მართლაც იგი სულ იქნება ბოროტების და მზაკვრობის მზიდი.



ჯერ კიდევ ყრმამ უარყვავი, რაც სიავის არის,
დავგმე ომი, მძულვარება, სისხლის ნიაღვარი.

მე მას ვეტრფი და მას ვლოცავ, ვინც რომ ხალხთა შორის
სიყვარულის სითბოს თესავს ძმობისა ამბორით.

და, რომ გითხრათ წრფელი გულით ჩემი რწმენა ყველა:
შენ ამ გრძნობის მშვენება ხარ, მისი ცისარტყელა.

და მეც მსურს, რომ შენს ამ სათნო კაცთა ძმობის გრძნობებს,
მუდამ თან ვყვე ერთგულებით, ვით ციურ მნათობებს.

რომ დევნილმა უსამშობლომ შენგნით ვპოვო შვება,
ქირთა ძლევა, ხალხთა ძმობა, ქვეყნის დაზავება.

გიორგი ტოგონიძე

ენა ქართულო

ენა ქართულო, შეთხზულო რთულო,
გაკაყებულო დროთა დინებით,
შენ ანაგებო მრავალ ჰანგებით,
წარმოშობილო რთული ფანდებით.

საქართველოდან ენა გამომყვა,
თანამგზავრია, ტოლია ჩემი,
არ მიღალატებს, ვერ უღალატებ,
მისი ერთგული მუდამ დავრჩები.

მას შემდეგ ბევრი მოხდა, გავიდა
და ქართულ ენას ბევრი დაემყნო,
მაგრამ იგია ფესვები ჩემი,
სხვათა გამოთქმას იგი არ ეყმო.

ენა ქართულო! მალხაზო, რთულო,
შენ მირჩვენებარ ყველა კილოში,
შენი მონა ვარ და შენი მთქმელი,



მუდამ გატარებ შენ ჩემს უბეში.

შენს ხმაზე ძველად ბევრს უმღერია,
ლექსები უთქვამთ, ჩანგს უუღერია,
ლოცვანი სათნო აღუფლენია,
ნაცადი აზრი უშენებია.

ვინ მოგიგონა, ვინ აგირჩია,
შენ მამა-პაპის გზის მჩვენებელო,
მძიმე დროების თანამგზავრი ხარ,
ჩვენი მომავლის კვლავ მშენებელო!..

ირაკლი ოთხმეზური

პარიზის წმ ნინოს ქართულ მართლმადიდებელ სამრევლოს
საკულტო საზოგადოების საბჭოს საინფორმაციო
უწყება

სამრევლო საბჭოს, რომელიც ამ უკანასკნელად რამდენჯერმე შეიკრიბა და იმსჯელა ჩვენი ეკლესიის მდგომარეობაზე, რომელიც შეიქმნა, ჩვენი მარად დაუფიწყარი წინამძღვრის, მამა ილია მედიას უღვთო გარდაცვალების შედეგად, — საჭიროდ მიაჩნია ინფორმაცია მიაწოდოს ჩვენი ეკლესიის წევრებსა და მეგობრებს.

—უპირველესად საჭიროა გავიხსენოთ ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს ეკლესიას, მის წესდებას და დანიშნულებას. ეს პრინციპები ღრმად იყვნენ მოფიქრებულნი და ემსახურებოდნენ იმ მიზნებს, რომ ის ყოფილიყო ისეთი სალოცავი, სადაც, რა თქმა უნდა, ქართველობა სრულ თავისუფლების პირობებში შეასრულებდა ღვთისმსახურებას, მაგრამ ამავე დროს ის ყოფილიყო ადგილი, სადაც უნდა აღნიშნულიყო თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს ბედნიერებისა და უბედურების აღმნიშვნელი პარაკლისები და პანაშვიდები.

— საფრანგეთში ყველა საკულტო საზოგადოებას საფუძვლად უდევს კანონი, რომლის მიხედვითაც, საკულტო დაწესებულებებს ეკრძალებათ სხვა უმადლეს სასულიერო ხელისუფლების დაქვემდებარება, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მდებარეობს. ჩვენს შემთხვევაში ასეთია საფრანგეთის მართლმადიდებელი ქრისტი-



ანული ეკლესიების კონფერენცია, რომლის ამჟამინდელი პრეზიდენტია მიტროპოლიტი **მ ე ლ ე ტ ი ო ს ი**, რომელიც განსაზღვრეს ჩვენს ეკლესიასაც უშუალოდ, ბერძნული ეკლესიის უშუამავლობის გარეშე. ბერძნული ეკლესია ისეთსავე კავშირშია მიტროპოლიტთან, რაც ჩვენი ქართული ეკლესია, არც მეტი და არც ნაკლები.

- ჩვენც ბუნებრივად მიტროპოლიტ მელეტიოსს მივმართეთ რჩევისა და დახმარებისათვის, რომელიც დიდი თანაგრძნობით მოეკიდა ჩვენს შექმნილ მძიმე მდგომარეობას, ეს მით უმეტეს, რომ მან ყველაფერი კარგად უწყოდა აწ განსვენებულ მამა ილია მელიასაგან, რომელიც განსაკუთრებით მისი სიცოცხლის მიწურულს ბევრს ფიქრობა ამის შესახებ.

- მიტროპოლიტმა დიდი ყურადღებით მოგვისმინა და დიდი თანაგრძნობა და გაგებულება გამოამჟღავნა ჩვენი განსაკუთრებული მდგომარეობის მიმართ, მიიღო რა მხედველობაში ყველაფერი, ჩვენი ავტონომიური უფლებების სრული პატივისცემით, როგორც დროებითი ღონისძიება, ჩვენი ეკლესიის მღვდლად დაგვინიშნა **მამა გაბრიელ ანრი**.

მამა გაბრიელ ანრი ფრანგულ-ბერძნული წარმოშობის, საფრანგეთის მოქალაქეა. ის დღველმსახურებას შეასრულებს ჩვენს ეკლესიაში იმ წესების მიხედვით, რომელსაც ჩვენი სამრევლო საბჭო მასთან ერთად შეიმუშავებს. იგი არაა ჩვენი სამრევლოს რექტორი, რადგანაც მას არ სურს მონაწილეობდეს ეკლესიის მართვა-გამგეობასა და ზოგად პოლიტიკის საკითხებში. ამ საკითხებს განაგებს სამრევლო საბჭო, რომელსაც სანამ რექტორი არ გვყავს, ანხორციელებს ორი პირი (**ბინომი**) - ეკლესიის მნათე თამაზ ნასყიდაშვილი და მოლარე ტარიელ ზურაბიშვილი.

- ამჟამად ღვთისმსახურება ჩვენს ეკლესიაში წარმოებს ფრანგულად (უკვე ზოგიერთი ქართული ფრაზებით), მაგრამ ქართული რჩება საგალობელ და საკითხავ ენად.

- სამრევლო საბჭოს კარგად ესმის, რომ ასეთი მდგომარეობა მხოლოდ დროებითია, მაგრამ ახალი რექტორის არჩევანი არ შეიძლება ნაჩქარევად გადაწყდეს. არ გვაქვს ილუზია, რომ ჩვენ ვიპოვით მამა ილია მელიასავით ყოველმხრივ შემეკობილ მოძღვარს, მაგრამ უნდა მოვნახოთ ისეთი, რომელიც ქართულად მეტყველებდეს ანდა მალე შეძლებდეს მის შესწავლას და აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ მას შეეძლოს იმოღვაწეოს სრულიად თავისუფლად, მონაწილეობა მიიღოს, თავისუფლად ყველა ჩვენ ეროვნულ საქმიანობაში მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებების მიხედვით, ისე, რომ არ განიცდიდეს

დაბრკოლებებს საეკლესიო იერარქიისა ან საერო ხელისუფლებისაგან. მაშ ჯერჯერობით ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენი სამწყსო ცოცხლობს, რომ ის ასრულებს მის საეკლესიო მოვალეობას, რა თქმა უნდა, მაგრამ, რომ ისაა აგრეთვე ქართველების ეროვნული ცენტრი. ამისთვის კი აუცილებლად საჭიროა, ხშირად და მრავალრიცხოვნად ვესწრებოდეთ ჩვენს სალოცავში, როგორც კვირის წირვას, ისე ეროვნულ და კერძო ხასიათის წირვა-ლოცვებს.

სამრევლო საბჭო

კავკასილოგთა IV საერთაშორისო სემინარი

ქალაქ სევრის (პარიზის მახლობლად) პედაგოგიური სწავლების საერთაშორისო ცენტრში წელს 27, 28 და 29 ივნისს ჩატარდა კავკასილოგთა მეოთხე საერთაშორისო სემინარი (*Colloque*), რომელიც მიეძღვნა **ჟორჯ ღიუშეზილის** ხსოვნას, მისი დაბადებიდან 90 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით. მას მასპინძლობდა საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის ბასკურ-კავკასიური და ძველი ციმბირული ენების სექცია, პირადად, ამ სექციის პასუხისმგებელი, კვლევის პირველი კლასის დირექტორი ქალ-ნი კატრინ პარისი. სემინარში, რომელიც ძლიერ მომპანცველ, მაგრამ სასიამოვნო მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიიღეს: ამერიკის შ. შ.-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, გერმანიის, შვეციის, ავსტრიის, ჰოლანდიის, სირია-იორდანის, საბჭოთა კავშირის (მათ შორის ორი საქართველოდან) ცნობილმა კავკასილოგებმა. სემინარმა მოისმინა 42 მოხსენება კავკასიის ხალხთა მითოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის და ლინგვისტიკის საკითხებზე და თითოეული მოხსენების შემდეგ იმართებოდა ფართო აზრთა გაცვლა-გამოცვლა და შეკითხვები. ბევრი მოხსენება ახალი სიტყვა იყო კავკასილოგიაში და მათი გამოქვეყნება საინტერესო იქნება ფართო მკითხველისთვისაც, ჩვენ, სამწუხაროდ, იმის საშუალებაც არ გვაქვს აქ, რომ მოხსენებთა სათაურები და ავტორები ჩამოვთვალოთ. ჩვენ მხოლოდ სამაგალითოდ მოვიყვანთ ბ-ნ ბ. სერჟანტის (საფრანგეთი) მოხსენების: „საბერძნეთის ქართველები, ულტრა და პროტო-ისტორიის პრობლემა“. — მოკლე შინაარსს:

ჟ. ღიუშეზილის (1935 წ.), ვასილი აბაევის (1963 წ.), და გიორგი შარაშიძის (1968 წ.) მიერ უდავოდ იქნა დამტკიცებული ბერძნული მითო-



კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 50-მდე მკვლევარმა ინგლისიდან, საფრანგეთიდან და ამერიკიდან. მისი მოხსენება იყო:

- 1) დენის ოგდენ (ლონდონის ცენტრალური პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი – „უკლონისტები საქართველოში“
- 2) სტივენ ჯონს – „ასაწყება გურიაში 1905 წ.“
- 3) თამარა დრაგაძე – „ეთნოგრაფიული ჩანაწერები: სოფლური ცხოვრება რაჭაში“
- 4) რამაზ კლიმიაშვილი – „1956 წელი თბილისში: რა მოხდა და რატომ?“
- 5) ჯორჯ ჰიუეტ – „საბჭოთა ლინგვისტიკური პოლიტიკა საქართველოში“
- 6) დონალდ რეიფილდ (ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი) – „იბერიული ქიმერა“ (ამტკიცებს, რომ არავითარი კავშირი არ არის ქართულ და ბასკურ ენებს შორის.)
- 7) დევიდ ლენგმა ილაპარაკა ინგლისელი ქალის მოგზაურობაზე სამეგრელოში, მეცხრამეტე საუკუნეში.
- 8) პატრიკ ჰილარი – „მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში“
- 9) პროფესორი ბეურდსული – „ქართული თარგმანები ბიბლიისა“
- 10) დევიდ ბარეტ და მაიკლ დაედი – „ქართული წიგნის ფონდი ოქსფორდის ბოდლიანის ბიბლიოთეკაში“
- 11) ჯონ რაიტ – „ქართული წიგნის ფონდი ლონდონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში“

ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა საქართველოს მკვლევარებისათვის დასავლეთში. აქამდე ინგლისში არ ყოფილა კონფერენცია მიძღვნილი ქართული კულტურის, ისტორიის და ლიტერატურისადმი.

სტივენ ჯონს

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო კ უ თ ხ ე

ჟან შედოს გარდაცვალება

ა. წ. 15 აპრილს, პარიზში მოულოდნელად გარდაიცვალა ბ-ნი ჟან შედო და დღეიდან განისვენებს ჩვენს ლევილის სასაფლაოზე. მხოლოდ ეს უკანასკნელი ფაქტიც მეტყველებს, თუ როგორ უყვარდა მას მისი ქართველი მეუღლე ქ-ნი ქეთევან ბარნოვი, მაგრამ მასთან ერთად მთელი ჩვენი ქართველობაც.

ჟან შედო გახლდათ: ფრანგი დამსახურებული საქალაქო მშენებლობის არქიტექტორი, საფრანგეთის კულტურის სამინისტროს დამსახურებული პროფესორი, საფრანგეთის ურბანიზმის საზოგადოების საპატიო წევრი, ურბანიტა საერთაშორისო საზოგადოების წევრი, საფრანგეთის „საპატიო ლეგიონის“ ორდენის ოფიცერი, საფრანგეთის

„ეროვნული ღირსების“ ორდენის კომანდორი, საფრანგეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის „აკადემიური პალმების“ ოფიცერი.

ბ-ნი ჟან შედო პირად ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში იყო უაღრესად თავმდაბალი, სათნო და გულისხმიერი. მისმა გარდაცვალებამ ღრმად დაამწუხრა არა მარტო ოჯახი, მისი მცნობი პარიზის მთელი საზოგადოებაც. მის მეუღლეს, ქ-ნ ქეთევანს, ოჯახის წევრებს და ახლო მეგობრებს გუშაგი უცხადებს დამწუხრებულ თანაგრძნობას. საუკუნო იყოს ხსენება მისი!

ქ. სოშოში (საფრანგეთის ღუბის დეპარტამენტი), წელს პირველ ივისის უეცრად გარდაიცვალა ქალბატონი ლიუდა ლეიშვილი და მეუღლის გვერდით მიბარდა სოშო-მონბელიარის ქართულ ძმათა სასაფლაოს. მის ვაჟს, გიორგის და მთელ ოჯახს გუშაგი უცხადებს თანაგრძნობას. საუკუნო იყოს ხსენება მისი!

ბ-ნი პეტრე ხვედელიძე გვატყობინებს, რომ: გასული წლის ბოლოს რუსეთში გარდაიცვალა მისი უფროსი ძმა თევდორე (თედო) ხვედელიძე. გუშაგი თანაგრძნობას მოახსენებს, მის მუღმივ მოამაგე, ბატონ პეტრეს.

წ ი გ ნ ე ბ ი და ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი

ალ. მანველიშვილი: „ძველი ქართული მწერლობა“

ცოტა ხნის წინად მივიღეთ, გასულ წელს, სან-ფრანცისკოში გამოცემული, ბ-ნ ალექსანდრე მანველიშვილის სახელმძღვანელო წიგნი:

„ძველი ქართული ლიტერატურა“. ამ წიგნით ერთი მნიშვნელოვანი შრომა ემატება ჩვენს ღარიბ ბიბლიოთეკას

როგორც შესავალში ბრძანებს ავტორი, სამშობლოში არიან გამოცემული ამ დარგის სახელმძღვანელოები, ჩვენ განსაკუთრებით მხედველობაში გვაქვს აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ორტომეული:

„ქართული მწერლობის ისტორია“, მაგრამ ეს წიგნი, ჯერ ერთი, იქაც

ბიბლიოგრაფიული იმედათობაა, არამც თუ უცხოეთში, მეორე მხარეს კვლევანაში გამოცემული მეცნიერული თუ ლიტერატურული წიგნები და-
დადულია პარტიულ ბრძანებებით, რომლებიც სავალდებულოდ ხდიან
ყველაფრის კლასთა ბრძოლის თვალთახედვით ახსნას, რისგანაც ბ-ნი
მანველიშვილი თავისუფალია. მანველიშვილის წიგნი ნაკლებადაა და-
ტვირთული მძიმე მეცნიერული აპარატით, რაც მისი ღირსებაა. მისი
წაკითხვა და შესწავლა გაუადვილდება ჩვეულებრივ მკითხველს.
ბატონი ალექსანდრე თავდაბლობას იჩენს და არ ტრაბახობს, მაგრამ
ამ წიგნში ბევრი მისი მსჯელობა და აზრი ორიგინალურია. ის, მა-
გალითად, დადებითად აფასებს პროფ. მ. წერეთლის ღვაწლს ვეფხის-
ტყაოსნის კვლევის საქმეში, მაშინ, როცა განსვენებული ვიქტორ ნო-
ზაძე მას აგდებულად ეკიდებოდა. ასევე ითქმის ბევრ სხვა აზრებზე.
სამწუხაროდ, ჩვენს ეროვნულ ემიგრაციაში ბევრი აღარ დარჩა
საერთოდ ქართული წიგნის და მით უფრო ასეთი სახელმძღვანელო
წიგნის მკითხველი და დამფასებელი. არც თურქეთში არ ჩანს ბევრი
ქართული ლიტერატურის ცოდნის ამ დონეზე. მაშ, დარჩა ისრაელში
და საერთოდ დასავლეთში უკანასკნელ ხანებში გამოხიზნული ემიგ-
რაცია, რომელშიც ამ საინტერესო წიგნმა უნდა იპოვოს ფართო გა-
მოყენება.

წიგნის დეტალურად გარჩევას ჩვენ აქ არ შევუდგებით, ის პატი-
ოსნადაა შესრულებული და შინაარსით ღირსეულ დონეზე დგას, მხო-
ლოდ საწყენია, რომ ასეთი წიგნი ხელის მანქანაზეა დაბეჭდილი და
კორექტორული შეცდომები, თვით მოხმობილ ციტატებშიაც კი, ცოტა
არაა გაპარული. რა ვქნათ, რუსები იტყვიან: „ბედნოსტ ნე ბედა“.

ველოცავთ და ვუსურვებთ ბ-ნ ალექსანდრეს, რომ მისი გონება
და მარჯვენა არ დადლილიყონ ქართულ აზრთან და კალამთან კიდი-
ლში.

გუშაგი

„ამბავი ერთი სიყვარულისა“

ასე ეწოდება ჩვენი მკითხველებისათვის კარგად ცნობილ მწერალ
მინდია ლაშაურის ახლახან თვითგამოცემის წესით გამოცემულ მოთ-
ხრობის წიგნს. მოთხრობა, რომელსაც მე პირადად რომანს ვუწოდე-
ბდი, გაშლილია ომის წინა და ომის პირველი წლების საქართველოს
ფონზე. ორ ახალგაზრდას, — აფხაზეთში დაბადებულ მხატვარ ლაშა



როდონიას და არაგვის ხეობაში აღზრდილ გოგონა მზიანკის შესახებ ერთმანეთი გატაცებით შეუყვარდებათ, რაც ტრადიკულად დასრულდება—ქალის თვითმკვლელობით, რადგანაც მათ სიყვარულს წინ ეღობება, ჯერ ერთი, ის, რომ ლაშა ცოლშვილიანია და, მეორე, რაც მთავარია, ომი. ომში მიყავთ ლაშა და უგზო-უკვლოდ იკარგება მზიანკის. მოთხრობაში გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მომხიბლავი პეიზაჟები და მომქმედ გმირთა პორტრეტების გალერეა, ზოგჯერ უცნაური ტიპებითაც. მარჯი მინდია ლაშაურს და ვუსურვებთ, რომ სამელნეში მელანი არ ამოშრობოდეს.

მეგობარი

კლოდ კემულარიას დაფასება

„თავისუფლების ტრიბუნის“ მკითხველებმა იციან, რომ ბ-ნი კლოდ დე კემულარია 1979 წლიდან აყვანილი იყო საფრანგეთის „საპატიო ლეგიონის“ რაინდის ხარისხში. საფრანგეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით, რომელიც ამ წლის 1 იანვრის „ჟურნალ ოფიცელში“ გამოქვეყნდა, ბ-ნ დე კემულარიას (კლოდ), ყოფილ ამბასადორს მიენიჭა: „საპატიო ლეგიონის“ ოფიცრის წოდება. ვულოცავთ დაფასებას.

*** *** *** *** ***

შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა თ ა ს ი ა (ფრანკებში)

პეტრე ხვედელიძე —მამა ილია მელიას მოსახსენებლად—	600		
პეტრე ხვედელიძე — ჩემი ძმის, თევდარე (თედო) ხვედელიძის მოსახსენებლად —	600		
ნამეტია გოგუაძე —მამა ილია მელიას მოსახსენებლად —	500		
ვახტანგ საყვარელიძე —მსოფლიო ომში დაღუპული ძმის, ლევან (ლენტო) საყვარელიძის, რომელსაც დაბადებიდან 70 წლისთავი შეუსრულდა,—კეთილად მოსაგონებლად — (100 დოლარი)	540		
ნიკოლოზ თოდრია —	254	თათრახან ანთაძე —	200
ვარლამ ანთელავა —	400	ირაკლი ოთხმეზური —	160
მეგობარი —	500	შოთა ბერეჟიანი —	100
მიხეილ თარაშვილი —	300	პავლე ვაშაძე —	300
თამარ პატარიძე —	60	ინგე გოგიშვილი —	139
ოთარ პატარიძე —	500	სანდრო მანველიშვილი —	300
ავთანდილ პაპიაშვილი —	526	მერაბ კვიციანიშვილი —	600

ს უ ლ

6.579

უ დ რ მ ე ს ი მ ა დ ლ ო ბ ა გ უ შ ა გ ი ს ა გ ა ნ



შ ი ნ ა ა რ ს ი

- .2 დამოუკიდებლობის 70 წლისთავი მოწინავე
- .5 ერის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი – რევაზ ჯაფარიძე
- .14 70 წლისთავი პარიზში – ეთერი
- .15 ოთარ პატარიძის სიტყვა
- .17 ოთარ ზურაბიშვილის სიტყვა
- .18 პირველი 26 მაისი ჭიათურაში – ირაკლი ოთხმეზური
- .22 26 მაისის ზეიმი ნიუ-იორკში – გივი კობი
- .25 სსრკ ხალხთა პატრიოტულ მოძრაობების საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა – ტექსტი რუსულიდან
თარგმნა – ზურაბ ნარსია
- .30 პრეზიდენტი რეიგანი კრემლში – გ. წ.
- .32 კომპარტიის XIX კონფერენცია – გუშაგი
- .42 მთიანი ყარაბაღის პრობლემა – გუშაგი
- .43 რეაბილიტაცია – გ. წერეთელი
- .44 თენგიზ გუდავას სიტყვა თეთრ სახლში
ინგლისურიდან მთარგმნელი – ზურაბ ნარსია
- .46 ქართული თვითგამოცემები
- .48 მონანიება – ზვიად გამსახურდია
- .50 ირაკლის (ლექსი) – მერაბ კოსტავა
- .53 საფრანგეთს (ლექსი) – გიორგი ტოგონიძე
- .55 ენა ქართული (ლექსი) – ირაკლი ოთხმეზური
- .56 წმ ნინოს ეკლესიის საინფორმაციო უწყება – სამრევლო საბჭო
- .58 კავკასიოლოგთა IV საერთაშორისო კონფერენცია
- .59 საქართველოს დღე ლონდონში – სტივენ ჯონს
- .60 სამგლოვიარო კუთხე
- .61 ალ. მანველიშვილის „ძველი ქართ. მწერლობა – გუშაგი
- .62 მინდია ლაშაურის „ამბავი ერთი სიყვარულისა“ – მეგობარი
- .63 კლოდ დე კემულარია: საპატიო ლეგიონის ორდენის ოფიცერი.
და შემომწირველთა სია

9 11/1



GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE